გლობალიზაციის პირობებში საერთაშორისო ლოგისტიკის ოპერაციების შესრულების თავისებურებებისადმი მიძღვნილია ს.ვ. სარქისოვის გამოკვლევა [124]. შრომაში განხილულია საერთაშორისო ლოგისტიკის სისტემებისა და მსოფლიო ბაზრის ლოგისტიკის ინფრასტრუქტურის განვითარების პერსპექტივები.

რეგიონულ საერთაშორისო ლოგისტიკის ბაზრებზე ლოგისტიკის ცენტრებისა და სატრანსპორტო-ლოგისტიკის სისტემების შექმნისადმი მიძღვნილია ტ.ა. პროკოფიევას [101], ვ.მ. ნიკოლაშინის [82], ლ.ბ. მიროტინის [83], ვ.ვ. დიბსკაიას [48] და სხვათა შრომები.

მსოფლიოს ინტეგრალურ-ეკონომიკურ გაერთიანებებში (NAFTA, ACEAN, EU) მოქმედი ლოგისტიკის ბაზრების დახასიათება და თავისებურებანი მოყვანილია დ. სტოკისა და დ. ლამბერტის ფუნდამენტალურ ნაშრომში [125]. მასში მოცემულია სპეციალისტ - ლოგისტიკოსების საქმიანობის ძირითადი ასპექტები. ნაშრომის ძირითადი დებულებები წარმოადგენს გარკვეულ მეთოდოლოგიას ლოგისტიკის ბაზრების შექმნისათვის.

საერთაშორისო რეგიონული ლოგისტიკის ბაზრების ოპტიმალურ ფუნქციონირებაში გადამწყვეტ როლს ასრულებენ სატრანსპორტო-საექსპედიციო ფირმები, ლოგისტიკის პროვაიდერები, ინტეგრალური ინტერმოდალური მმართველი კომპანიები. საერთაშორისო ლოგისტიკის ოპერაციებში ექსპედიტორების როლისა და ფუნქციების შესახებ, მათი საქმიანობის სამართლებრივი საფუძვლებისა და გადაზიდვების უზრუნველყოფისადმი მიძღვნილია უამრავი საზღვარგარეთული და სამამულო ტექნიკური ლიტერატურა [12, 113, 108]. ამ ნაშრომებში მოყვანილია ექსპედიტორების ძირითადი წესები, FIATA - ს ძირითადი დოკუმენტები, მათი შევსების

თანმიმდევრობა, სატრანსპორტო-ლოგისტიკის სერვისის და კონკურენტუნარიანობის შეფასების მეთოდოლოგია და სხვა.

რეგიონული ლოგისტიკის ბაზრების შექმნის საფუძველს წარმოადგენს **ინტერმოდალიზმის** თეორია, რომელიც ხასიათდება თავისებურებებითა და ფუნქციონირების სირთულით. ამ პრობლემისადმი უცხოურ ლიტერატურაში მიძღვნილია მრავალი გამოკვლევა: ა.ი. ავდეევის [1], ვ.ს. გუბენკოს, ა. კოროლიოვას, ე.მ. ლიმონოვის, ი.ა. სტრელნიკოვას, ვ.ნ. კლეპიკოვის [64], ე.ნ. ზაიცევის შრომები.

ეფექტური ლოგისტიკის ბაზრების შექმნის ერთ-ერთი საფუძველია **მიწოდებათა ჯაჭვების მართვის კონცეფცია**. ამ კონცეფციის დამუშავებისადმი მიძღვნილია უპირატესად საზღვარგარეთის მეცნიერთა შრომები: ა. ჰარისონი, ვ. რემკოს [109], ჯ. გატორნას [140], დ. უოტერსის, დ. შაპიროს [137], ვ.კ. სოკოლოვის [120], ვ.ს. გუბენკოს. ქართულ სინამდვილეში პირველი სახელმძღვანელო მიწოდებათა ჯაჭვების მართვაში გამოვიდა მიმდინარე წელს ავტორთა კოლექტივის მიერ [27], რომელშიც მოცემულია მიწოდებათა ჯაჭვების შექმნის, გაანგარიშების, მოდელირებისა და ექსპლუატაციის აქტუალური საკითხები.

ქართველ მეცნიერთაგან ლოგისტიკის სისტემების შექმნის მეთოდოლოგიაში თავისი წვლილი შეიტანეს პროფესორებმა, ტექნიკის მეცნიერებათა დოქტორებმა ლ. ბოცვაძემ [26, 27], პ. ქენქაძემ, რ. თედორაძემ, ზ. შენგელიამ, ასოცირებულმა პროფესორებმა მ. მებურიშვილმა, ნ. ბუთხუზმა. ავტორთა კოლექტივის მიერ საქართველოს სინამდვილეში პირველად შეიქმნა სახელმძღვანელოების სერია სატრანსპორტო ლოგისტიკაში [20, 21, 22, 24, 25, 26]. აღნიშნულ პრობლემაზე შეიქმნა მონოგრაფია [21] და დაიწერა რამოდენიმე სამეცნიერო სტატია.

ლოგისტიკური ბაზრების ერთ-ერთ **მთავარ მახასიათებელს** წარმოადგენს პროდუქციის წარმოება. მისი დაგეგმვა წარმოებს ფირმის კორპორაციული გეგმის საფუძველზე. კომპანიის ლოგისტიკის სტრატეგია შეთანხმებული უნდა იყოს ფირმის სტრატეგიის კორპორაციულ მიზნებთან (მისიასთან), მარკეტინგულ და საწარმოო სტრატეგიებთან [18, 122, 101].

გლობალური ლოგისტიკის სისტემების მართვა შედგება შემდეგი პროცედურებისაგან. 1. გარემოს ანალიზი, პროგნოზირება; 2. სტრუქტურა; 4. გეგმის

რეალიზაცია; 5. კონტროლი ლოგისტიკის პროგრამის რეალიზაციაზე და რეგულირება. ლოგისტიკის სტრატეგიის დამუშავება ცენტრალურ ადგილს იკავებს ცენტრალური (გლობალური) კომპანიის დაგეგმვის სისტემაში კორპორაციულ, მარკეტინგულ და საწარმოო სტრატეგიებთან ერთად. მარკეტინგული სტრატეგია ლოგისტიკის სტრატეგიას აკავშირებს გარე გარემოსთან (ეკონომიკა, კანონმდებლობა, ტექნოლოგია, ეკოლოგია, კონკურენცია, ხოლო საწარმო სტრატეგია შიდა გარემოსთან – ფირმის შიდა მიკროსფეროსთან (ფინანსები, მოწყობილობა, ინვესტიციები, ტექნოლოგიები, პერსონალი) [109].

სამუშაოში გადმოცემულია კორპორაციული ლოგისტიკის საკითხთა ფართო წრე-განკარგულებითი აპარატიდან დაწყებული ლოგისტიკის მენეჯმენტის სერტიფიკაციის ევროპულ პროცედურებამდე.

მიწოდებათა ჯაჭვების ოპტიმიზაციისათვის დამუშავებულია: პროგრამული პაკეტი SUMI (Schneiders Utility for Manadging integrated Transportition, კომპანია FDX-პროგრამული მართვის პაკეტი; პროგრამული კომპლექსი – SLIM-2000 მიწოდებათა ჯაჭვების კომპლექსური ოპტიმიზაციის პროგრამული უზრუნველყოფა, ტრანსპორტის მართვის სისტემები (STMS), საწყობების მართვის სისტემა (WMS), აშშ ტრანსპორტის სამინისტროს ინტერნეტბიბლიოთეკა. <http://ntl.bts.gov/trvs>. საწარმოო რესურსების დანერგვის სისტემა (ERP) და მასალებზე და მოთხოვნის დაგეგმვის სისტემა; განაწილებაზე მოთხოვნის დაგეგმვის სისტემა (DRP); მოთხოვნის პროგნოზირებისა და შეკვეთების მართვის სქემა; წარმოების კალენდარული დაგეგმვის ოპტიმიზაციის მოდელირების სისტემები; ლოგისტიკის ოპტიმიზაციის სამოდელო სისტემა; სტრატეგიული ოპტიმიზაციის მოდელირების სისტემა; მიმწოდებლებთან ურთიერთდამოკიდებულებათა მართვა (SRN).

მიწოდებათა ჯაჭვების დაგეგმვისა და წარმოების მართვისათვის კომპიუტერის დახმარებით დამუშავებულია პროგრამული კომპლექსი CAPS Logistics, რომელიც შედგება შემდეგი ნაწილებისაგან; მიწოდებათა ჯაჭვების მუშაობის დაგეგმვა – SRP; შეკვეთების მართვის სისტემები (OMS); წარმოების მართვის სისტემები (MES); მომხმარებლებთან ურთიერთდამოკიდებულებათა მართვა (CRM), მიწოდებათა ჯაჭვებში მიმდინარე მოვლენების მართვა.

მიწოდებათა ჯაჭვების ოპტიმალური ქსელური სტრუქტურების დასადგენად გამოიყენება ქსელური ოპტიმიზაციის მოდელები (Network Optimisation Model, NOM), რომელიც შედგება ოთხი ეტაპისაგან: 1. მიწოდებათა ჯაჭვების სცენარების განსაზღვრა; 2. NOM- ის მოდელების პროექტირება და მოდელების შექმნა; 3. სამოდელო სცენარების ოპტიმიზაცია; 4. მიწოდებათა ჯაჭვების მომავალი ოპერაციული დანიშნულების განსაზღვრა [151, 150].

ამრიგად, ჩატარებულმა ანალიზმა გვიჩვენა, რომ ამჟამად დამუშავებულია საერთაშორისო რეგიონული ლოგისტიკის ბაზრების ცალკეული ქვესისტემების მოდელირების, გაანგარიშებისა და ოპტიმიზაციის მეთოდოლოგიური საკითხები, მაგრამ ისინი მოითხოვენ ძირეულ გადამუშავებას და ჯერ კიდევ ვერ ქმნიან ასეთი ბაზრების შექმნისა და ოპტიმიზაციის მწყობრ თეორიის.

ამრიგად, საერთაშორისო რეგიონული ლოგისტიკის ბაზრების შექმნისა და განვითარების ოპტიმიზაციის სამეცნიერო-ტექნიკური მეთოდოლოგია ჯერჯერობით არ არსებობს; მისი დამუშავებისათვის საჭიროა დამატებითი გამოკვლევების ჩატარება ინტერმოდალიზმისა და მიწოდებათა ჯაჭვების მართვის კონცეფციების საფუძველზე ბაზრების ფუნქციების თავისებურებათა გათვალისწინებით.

1.3. რეგიონული სატრანსპორტო გამანაწილებელი სისტემების ფორმირების ძირითადი მეთოდოლოგიური პრინციპები

რლ სგს მიეკუთვნება მაკროლოგისტიკის სისტემების კატეგორიას. მათი ფორმირება, ფუნქციონირება და განვითარება ხორციელდება საერთო მეთოდოლოგიური პრინციპების საფუძველზე, რომლებიც დამახასიათებელია მაკროლოგისტიკის სისტემებისათვის. მთავარს მათ შორის წარმოადგენს:

ინტეგრირებული რეგიონული სატრანსპორტო ლოგისტიკის სისტემების ფორმირების რთული პრობლემების გადაწყვეტისათვის ყველაზე ეფექტურ მეთოდს

წარმოადგენს სისტემური და პროგრამულ-მიზნობრივი მიდგომის მეთოდები. რეგიონული სლს ფორმირებას აქვს თავისი სპეციფიკა და მოითხოვს სისტემური მიდგომის ზოგიერთ პრინციპულ თავისებურებათა კონკრეტიზაციას და დაზუსტებას.

რეგიონული სლს პროექტის პრაქტიკული რეალიზაციის პროცესში სისტემური ანალიზის მეთოდოლოგია ტრანსფორმირდება პროგრამულ-მიზნობრივ მიდგომაში. ამ დროს რეგიონული სლს ფორმირების პროგრამის ქვეშ ვიგებთ ეკონომიკური, ტექნიკური, საპროექტო, საწარმოო-ეკონომიკურ, სამეცნიერო-კვლევით და სხვა ხასიათის ღონისძიებებს დაგეგმილ კომპლექსს, მიმართულს მიზნებისა და მათი ფუნქციების ამოცანების მიღწევაზე.

რეგიონული სლს ორგანიზაციული სტრუქტურის სინთეზი მდგომარეობს შემდეგი ამოცანების ეტაპურ გადაჭრაში:

1. პრობლემის დასმა და რსლს ფორმირების საჭირო ობიექტების წინამძღვრების შეფასება;

2. რსლს მიზნებისა და ამოცანების დასაბუთება მისადაგებული რეგიონის განვითარების სოციალურ-ეკონომიკურ, გეოპოლიტიკურ, ეკოლოგიურ მიზნებთან;

3. ფუნქციონალური და უზრუნველყოფი სისტემების კომპლექსების დამუშავება და რსლს ორგანიზაციულ-ფუნქციონალური პრინციპული სტრუქტურის აგება;

4. პროგრამული ღონისძიებებისა და ძირითადი ქვეპროგრამების სისტემის დამუშავება რსლს შექმნის მიზნებთან და ამოცანებთან;

5. პროგრამის რეალიზაციის რესურსული უზრუნველყოფა ინვესტიციებში მოთხოვნის შეფასებით და პროგრამის ღონისძიებათა ფინანსური წყაროების განსაზღვრით;

6. რსლს ფორმირებისა და მართვის ორგანიზაციული სტრუქტურის პროგრამის რეალიზაციის მექანიზმის დამუშავება და კონტროლი მის რეალიზაციაზე;

7. რსლს ფორმირების პროგრამის რეალიზაციის ეფექტურობისა და სოციალურ-ეკონომიკური შედეგების შეფასება.

გრაფიკული მოდელი, რომელიც ყველაზე ზოგადი სახით ახასიათებს საერთაშორისო ბაზრებზე საექსპორტო ციტრუსების მიწოდებათა ინტერმოდალური

სტრუქტურის სატრანსპორტო-ლოგისტიკის სისტემას, ორგანიზაციულ-ფუნქციონალურ სტრუქტურა შედგება: საერთაშორისო ბაზრებზე ციტრუსების საექსპორტო მიწოდებათა ინტერმოდალური მიწოდებათა ფუნქციონალურ სტრუქტურის მოდელი შედგება ორი ქვესისტემისაგან: 1. ფუნქციონალური ქვესისტემები: სატრანსპორტო კვანძები საქართველოსა და მიმდებარეს ხდის საზღვარგარეთის ქვეყნების ტერიტორიაზე; ლოგისტიკის შუამავლები; რეგიონული გამანაწილებელი ცენტრები; საქართველოსა და ახლო საზღვარგარეთის ქვეყნების ტერიტორიაზე; 2. უზრუნველყოფის ქვესისტემები: ქვეყნის სლს საინფორმაციო უზრუნველყოფის ქვესისტემა; ქვეყნისა და მოსაზღვრე პარტნიორი ქვეყნის ფინანსური უზრუნველყოფის ქვესისტემა ქვეყნის საერთაშორისო სლს ნორმატიულ-სამართლებრივი უზრუნველყოფის ქვესისტემა ქვეყნის სლს სამეცნიერო-ტექნიკური და საკადრო უზრუნველყოფა.

მოდელი მოიცავს ფუნქციონალური და უზრუნველყოფი ქვესისტემების კომპლექსს, რომელშიც მონაწილეობს საქართველო და მისი პარტნიორი ქვეყანა და ინტეგრირებულია სასაქონლო-მატერიალური ნაკადით.

ფუნქციონალური ქვესისტემები პირობითად გამოხატულია სამ ურთიერთდაკავშირებული ბლოკის სახით.

რსლს ფუნქციონალური ქვესისტემის ძირითად სისტემაწარმო-მქმნელ ელემენტებს წარმოადგენენ რეგიონული გამანაწილებელი ცენტრები, რომლებიც წარმოადგენენ მსხვილი სამრეწველო საწარმოების რეგიონულ გამანაწილებელ და დისტრიბუციის ცენტრებს, საბითუმო ბაზებსა და ვაჭრობის ცენტრებს, ტერმინალურ კომპლექსებსა და ლოგისტიკურ სატრანსპორტო-გამანაწილებელ ცენტრებს:

უზრუნველყოფის ქვესისტემებს, რომლებიც ასრულებენ ძირითადში მხარდამჭერ და ერთდროულად მაინტეგრირებელ ფუნქციებს, წარმოადგენილი ოთხი ჯგუფის სახით. მათი ფორმირება მიმართულია ერთიანი საინფორმაციო, ფინანსური, სამეცნიერო-ტექნიკური და საკადრო, აგრეთვე რეგიონული სტს ეფექტურ ფუნქციონირებაზე და განვითარებისათვის ნოვატორულ-სამართლებრივი სივრცის შექმნაზე. მათი საბოლოო მიზანია შემდგომი ინტეგრაცია სატვირთო და სასაქონლო მოძრაობის საერთაშორისო ლოგისტიკის სისტემაში ინტეგრაცია.

განვიხილოთ რსლს დაკავშირებული საერთაშორისო სატრანსპორტო ბაზრის ორგანიზაციის საკითხები.

ამჟამად ევროკავშირის ქვეყნებში ფუნქციონირებენ სატრანსპორტო ბაზრის შემდეგი მონაწილენი:

სარკინიგზო ოპერატორები – გადამზიდავები წარმოადგენენ სატრანსპორტო კომპანიებს, რომლებიც დაკავშირებული არიან გადაზიდვითი საქმიანობით. მათი განმასხვავებელი თავისებურება – მაგისტრალური თბომავლებისა და ელმავლების საკუთარი პარკის არსებობა საკუთარი სატვირთო მატარებლების გადაზიდვების უზრუნველსაყოფად მოცემულ კომპანიებს, როგორც წესი, აქვთ ვაგონების საკუთარი პარკი, საქმიანობის უზრუნველყოფისათვის მათ მოეთხოვებათ საერთაშორისო ლიცენზიების მიღება, რომლებიც შეესაბამებინ ევროსტანდარტებს, ცალკეულ სარკინიგზო გადამზიდავებს აქვთ საკუთარი ინფრასტრუქტურა სარკინიგზო ხაზის უბნების სახით

შერეული გადაზიდვების ოპერატორები (Intermodal rail operators) – კომპანიები, რომლებიც ყიდულობენ ვაგონის ტევადობას (ფართობს) და წვევის მომსახურებას სარკინიგზო ოპერატორებისაგან (გადამზიდავებისაგან) თავიანთი ხარჯითა და თავიანთი საკუთარი რისკით. შერეული გადაზიდვების ოპერატორები გამონაკლისის გარეშე ორიენტირებულნი არიან კონტეინერული შატლების კომერციულ ექსპლუატაციაზე.

კონტეინერული შატლები (container shuttles) – ესაა სატვირთო მატარებლები, ფორმირებული სპეციალიზირებული ბაქნებისაგან, განკუთვნილნი მსხვილტონაჟიანი კონტეინერების გადაზიდვისათვის (მოსახსნელი ძარების ანდა კონტეინერების). ეს მატარებლები კურსირებენ გამგზავნ და დანიშნულების სადგურებს შორის განრიგის მიხედვით.

ინტერმოდალური გადაზიდვა (Intermodal transport) – ერთი ოპერატორის ხელმძღვანელობის ქვეშ რამოდენიმე სახის ტრანსპორტის მონაწილეობით სატვირთო ადგილების (კონტეინერების, მოსახსნელი ძარების ანდა კონტრეილერების გადაზიდვა პრინციპით „კარიდან კარამდე“ (Door-to-door Service). ინტერმოდალური გადაზიდვა ხორციელდება ერთი სატრანსპორტო ჯაჭვის ფარგლებში.

სარკინიგზო ექსპედიტორები (Railforwarders) – კომპანიები, რომლებიც სპეციალიზირებულნი არიან ტვირთების გაგზავნაზე რკინიგზით ტვირთმფლობელის დავალებით. ისინი აწარმოებენ რკინიგზით სრული გადატვირთვის ორგანიზაციას. მაგრამ არ უზრუნველყოფენ მომსახურებას გზაში მსვლელობისას, მოიცავენ სარკინიგზო კონტრაქტებს გადამზიდებთან. იმასთან დაკავშირებით, რომ ტვირთების მნიშვნელოვანი ნაწილი მოდის სხვა ქვეყნებში, ექსპედიტორები ახორციელებენ ტვირთების ფორმირებასთან, საერთაშორისო მიმოსვლებში გადაზიდვების ყველა ოპერაციებს.

ტვირთის გადაზიდვის სტადიაზე გადაზიდვების პროცესის მონაწილეთა ურთიერთქმედების ვარიანტები შემდეგია: გამგზავნ-გადამზიდავი; გამგზავნ-შერეული გადაზიდვების ოპერატორები – გამგზავნი; გამგზავნი-შერეული გადაზიდვების ოპერატორი – გადამზიდავი.

სატრანსპორტო ლოგისტიკის საქმიანობის კლასიფიკაციას ახდენენ შემდეგი ნიშნების მიხედვით: ა) ოპერატიულ საწარმოო სახის მომსახურებანი: ტვირთების შემოტანა და გატანა; დტვირთვა-განტვირთვისა და სასაწყობო მომსახურებანი; სატრანსპორტო საშუალებათა მომზადება; ბ) კომერციულ სამართლებრივი ხასიათის მომსახურებანი; ტვირთების დაზღვევალ საგადასახადო-საფინანსო მომსახურებანი; სხვადასხვა სატრანსპორტო-საექსპედიციო მომსახურებანი; მონაწილეობა მოლაპარაკებებში ყიდვა-გაყიდვის კონტრაქტების გაფორმებაში; სხვადასხვა სატრანსპორტო-საექსპედიციო მომსახურებანი; ა) და ბ) ნიშნების შეერთებით; დოკუმენტების გაფორმება, ტვირთების მიღება და გაცემა; სატრანსპორტო მომსახურებანი; ლოგისტიკის მომსახურებანი; ტვირთებისა და სატრანსპორტო საშუალებათა საბაჟო გაფორმება.

სატრანსპორტო ლოგისტიკის შუამავლების კლასიფიკაცია საქართველოს სამოქალაქო კოდექსის სხვა კანონმდებლობათა შესაბამისად: გადამზიდავები (გადაზიდვის ხელშეკრულება); მოძრავი შემადგენლობის ოპერატორები (აგენტირების სატრანსპორტო ხელშეკრულების გაფორმება); ტერმინალები და საწყობები გადამტვირთავის პუნქტებით; აგენტები, აგენტირების ხელშეკრულება; ექსპედიტორები; ექსპედიტორი (ბროკერი), გადამზიდავის ოპერატორი

(სატრანსპორტო ექსპედიციის ხელშეკრულება); ლოგისტიკის კომპანიები: შერეული გადაზიდვების ოპერატორი – (FIATA) კონოსამენტი.

1.4. ამოცანის არსი, გამოკვლევის მიზანი, სტრუქტურა და მეთოდები

საქართველოს მომგებიანი გეოსტრატეგიული მდებარეობა, გლობალიზაციისა და საერთაშორისო სატრანსპორტო-ლოგისტიკის ბიზნესის ინტერესები მოითხოვენ სამხრეთ კავკასიის რეგიონში სატრანსპორტო დერეფან TRACECA-ს მონაკვეთზე, გაეროს საერთო ევროპული ОСЖД/ЭСКАДО დერეფნების 1, 7, 9, 10 და პანევროპული (კრეტის დერეფნების 1, 13, 11, IX მიმართულებათა გადაკვეთაზე მოითხოვენ საერთაშორისო სავაჭრო და ლოგისტიკის ბაზრების, საქონლის მიწოდებათა სისტემების განვითარებათა აუცილებლობას. ამისათვის საჭიროა მათი შექმნისა და განვითარების ოპტიმიზაციის სამეცნიერო-ტექნიკური მეთოდოლოგიის დამუშავების სამეცნიერო პრობლემის გადაწყვეტა.

ლოგისტიკის და სასაქონლო ბაზრების შექმნის მეთოდოლოგია – ეს არის გარემოს არაკონტროლირებადი და კონტროლირებადი ფაქტორების მოქმედების პირობებში რაციონალურად ფუნქციონირებადი რთული მაკროლოგისტიკის ინტეგრირებული სისტემის ჩამოყალიბების დასაბუთებულ სამეცნიერო-ტექნიკური კონცეფციების სისტემა, რომელიც ერთ მთლად აერთიანებს მოცემული მიმართულებით რეგიონის ერთი ან რამოდენიმე ქვეყნის ურთიერთდაკავშირებული და ურთიერთმოქმედი სამრეწველო ფირმების ქსელის, საზღვაო პორტებისა და აუტსორსინგული ლოგისტიკის პროვაიდერების, საერთაშორისო ინტერმოდალური სატრანსპორტო-ტექნოლოგიური და ლოგისტიკის სისტემების, ლოგისტიკის და სატრანსპორტო ინფრასტრუქტურის; საინფორმაციო და ფინანსური პროვაიდერებით, საერთაშორისო საბითუმო-სავაჭრო და ინტერმოდალური ოპერატორული მმართველი კომპანიების ფუნქციონირების ეფექტურობის შედეგების შეფასების და მათი

ოპტიმალური ვარიანტების შერჩევის შესახებ სამმართველო გადაწყვეტილებათა მიღების სამეცნიერო ინსტრუმენტების ერთობლიობას მიღებული კრიტერიუმებისა და სატრანსპორტო ლოგისტიკის ბიზნესის დადგენილი კრიტერიუმების შესაბამისად.

ლოგისტიკის ბაზრების შექმნისა და სასაქონლო ბაზრების ერთობლივი განვითარების კომპლექსური თეორიის დამუშავება მოითხოვს დამატებითი გამოკვლევების ჩატარებას. ასეთი კომპლექსური თეორიის შექმნისათვის საჭიროა დამუშავებულ იქნას ამ მრავალწახნაგოვანი პრობლემის გადაჭრის მეცნიერული უზრუნველყოფისათვის შესაბამისი მიდგომები და მექანიზმები.

მეცნიერულ საფუძველზე საერთაშორისო ლოგისტიკის ბაზრების მოთხოვნილებათა სრულყოფისათვის საჭიროა ეს სტრუქტურა და გაცვლითი პროცესები ლოგისტიკის მომსახურებით განვიხილოთ ინტერმოდალიზმის [25], ინტეგრირებული და საერთაშორისო ლოგისტიკა [26] და მიწოდებათა ჯაჭვების [27] მართვის პროცესების პრინციპებისა და სისტემური მიდგომის საფუძველზე საბაზრო ურთიერთობათა გათვალისწინებით. **ბაზრების ლოგისტიკის კონცეფციის გლობალურ მიზანს წარმოადგენს:** ნედლეულის, მასალების, დაუმთავრებელი და მზა პროდუქციისა და ინფორმაციის მომზადება და მათი მიწოდებითი, შესყიდვების, წარმოების, გასაღებითი და განაწილების პროცესების განხორციელება საჭირო რაოდენობით, საჭირო ხარისხითა და საჭირო გეოგრაფიულ პუნქტში.

ლოგისტიკის და სასაქონლო ბაზრების მთავარ მახასიათებელს წარმოადგენს მისი სტრუქტურა, რომელსაც ელემენტებისა და დამოკიდებულებათა რაოდენობით აქვს პოლისტრუქტურის ხასიათი და მიეკუთვნება განვითარებად სისტემებს. რთული სისტემების გამოკვლევის მეთოდების განვითარების თანამედროვე მდგომარეობა საშუალებას გვაძლევს ბაზრებთან დაკავშირებული პრობლემური სიტუაცია შევისწავლოთ როგორც მკაფიოდ სტრუქტურულიზებული, დავამყაროთ მკაფიოდ გამოხატული რაოდენობრივი კავშირები არსებულ პარამეტრებს შორის, რაც საშუალებას გვაძლევს ფართოდ გამოვიყენოთ გადაწყვეტილებათა მიღების მათემატიკური მეთოდები [7, 9, 13, 17, 45, 46, 78, 96, 109, 134, 135, 142]. დამოკიდებულება საერთაშორისო ლოგისტიკისა და მიწოდებათა ჯაჭვების გლობალურ ელემენტებს შორის და მათში მიმდინარე პროცესები ატარებს

შემთხვევით ხასიათს. ამ დროს გამოიყენება გადაწყვეტილება მიწოდებათა ჯაჭვებში განუსაზღვრელობის და რისკის პირობებში [27].

სისტემური მიდგომის მეორე ეტაპზე განიხილება ფუნქცია, ე.ი. შერჩეული თვისებების გამოვლენა დინამიკაში, რომელსაც მიყვავართ მიზნის მიღწევასთან.


სისტემაზე დატვირთვის განსაზღვრა დამოკიდებულია მოთხოვნის პროგნოზირებად მნიშვნელობაზე. ამოცანების (ფუნქციების) გაყოფის მთავარი პრინციპი ჯგუფებად მდგომარეობს ბიზნეს-პროცესების (სამუშაოთა) შესრულების შედეგებისგან ლაგებაში დროის ღერძზე ამოცანების გადაწყვეტის პროცესების აგების ლოგიკის ტექნოლოგიური თავისებურებებისა და ამოცანების დაყოფით შესაბამის ელემენტებად, რომლებიც შეადგენენ დახურულ ერთეულებს ცალკეული პროცესების რეგულირების თვალსაზრისით.


ლოგისტიკის და სასაქონლო ბაზრების (საერთაშორისო ინტეგრირებული ლოგისტიკისა და მიწოდებათა ჯაჭვის, საქონლის ასორტიმენტების ჯგუფების და სხვა) შექმნას, სრულყოფისა და განვითარების პრობლემის გადაწყვეტა მიიღწევა ბაზრის მართვის ინტეგრირებული სისტემის ორგანიზაციული და ტექნოლოგიური რეკომენდაციების ჩარჩოებში.

ნახ. 1-ზე ნაჩვენებია „საერთაშორისო სასაქონლო ბაზრებზე ციტრუსების საექსპორტო მიწოდებათა სისტემის ოპტიმიზაცია რეგიონული აგრარული ცენტრების მეშვეობით“ პრობლემაზე გამოკვლევის ტექნოლოგიური რუქა, რომელზეც ჩამოყალიბებულია გამოკვლევის მიზანი, აგრეთვე გამოყოფილია მთავარი და დამხმარე ამოცანები, რომელთა გადაწყვეტა საშუალებას გვაძლევს ჩამოვაყალიბოთ და დავასაბუთოთ სამეცნიერო დებულებები.

გამოკვლევის მეთოდოლოგიურ და თეორიულ საფუძვლებს წარმოადგენს: საკანონმდებლო აქტები, მთავრობის დადგენილებები, საერთაშორისო სამთავრობათშორისი ხელშეკრულებები და შეთანხმებანი, რომლებიც რეგლამენტირებას უკეთებენ წარმოების, ვაჭრობისა და ტრანსპორტის ფუნქციონირებას საბაზრო ეკონომიკის პირობებში; საერთაშორისო კონვენციები საერთაშორისო ვაჭრობის, სატრანსპორტო პოლიტიკის, მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციის, გაეროს დადგენილებები;

ნახ. 1. საერთაშორისო სასაქონლო ბაზრებზე ციტრუსების მიწოდებათა ოპტიმალური ინდერმოდალური სისტემის შექმნისა და ეფექტურობის ამაღლების პრობლემაზე გამოკვლევის ტექნოლოგიური რუკა





9	ციტრუსების მოვლა-მოყვანისა, დამზადებისა და სანედლეულო ზონის (ფერმერული მეურნეობების) დახასიათება, ციტრუსების შენახვისა და გადამამუშავების და ტრანსპორტირების სტანდარტული ტექნოლო-გიური რეჟიმები	11	ციტრუსების დამზადებისა და შენახვის სტანდარტული ტექნოლოგიური რეჟიმების ინსტრუქციები
10	ციტრუსების დამზადების, დროებითი შენახვისა და გადაზიდვების სისტემები. ციტრუსების დამზადებისა და მომსახურების პოლიგონზე პერიფერიული მიმღებ-დამამზადებელი პუნქტების განლაგება	12	ციტრუსების პერიფერიული მიმღებდამამზადებელი პუნქტების განლაგების ოპტიმიზაციის მათემატიკური მოდელი მომსახურების პოლიგონზე.
11	ციტრუსების ინტერმოდალური გამსხვილებული სატრანსპორტო ერთეულის ფორმირება და მისი პარამეტრების შერჩევა ბრტყელ სტანდარტულ საძირეზე ზომებით 800X200 მმ, 1000X1200 მმ	13	სხვადასხვა ტრანსპორტის მოძრავი შემადგენლობის ტვირთამწეობის განსაზღვრა დატვირთვის სხვადასხვა პირობებში და სატვირთო ერთეულების მიხედვით მათი ტვირთამწეობის ნორმების დადგენა.
12	რეგიონული აგრარული ლოგისტიკის ცენტრების საექსპორტო მიწოდებათა ინტერმოდალური სისტემის შექმნისა და განვითარების პროგნოზირების დაგეგმვის, პროექტირებისა და მართვის ძირითადი ამოცანები.	14	რეგიონული აგრარულ-ლოგისტიკის ცენტრებში მიწოდებათა სისტემის ფუნქციონირების ნორმატიული პარამეტრების დადგენა.
13	რეგიონულ აგრარულ ლოგისტიკის აგრარული ცენტრების ინტერმოდალური მიწოდებათა სისტემის ლოგისტიკური ჯაჭვების სქემებისა და მომსახურების დანახარჯების ოპტიმიზაციის ალგორითმი	15	ინკოტერმს-2010-ის ტერმინების შესაბამისი ლოგისტიკური მომსახურების შესაბამისი დანახარჯების გაანგარიშების მეთოდოლოგიის შედგენა.

ნახ. 1-ის გაგრძელება.

მსოფლიოს რეგიონული სავაჭრო-ეკონომიკური ინტეგრაციული გაერთიანებების შექმნის დამფუძნებელი დოკუმენტები; მსოფლიოს განვითარებული ქვეყნების გამოცდილება საერთაშორისო ბაზრების ფორმირების სფეროში, საერთაშორისო ლოგისტიკისა და მარკეტინგია კონცეფციები და პრინციპები.

მსოფლიოს სასაქონლო და ლოგისტიკის ბაზრების მდგომარეობისა და განვითარების ანალიზი ჩატარდა მათი მარკეტინგული და ლოგისტიკის გამოკვლევების ანალიზის საფუძველზე. გამოყენებულ იქნა თანამედროვე რეგიონული ინტეგრაციული გაერთიანებებისა და ლოგისტიკის სისტემების გამოკვლევის შედეგები [21, 19, 125].

თანამედროვე რეგიონალური სასაქონლო და ლოგისტიკის ბაზრების სისტემებში ლოგისტიკის, მარკეტინგისა და საერთაშორისო მიწოდებათა ჯაჭვების როლისა და პრინციპების გამოკვლევა ჩატარებულ იქნა სამრეწველოდ განვითარებული ქვეყნების გამოცდილების, საპატენტო საინფორმაციო და პერიოდული ლიტერატურის შესწავლის საფუძველზე ახალი ტექნოლოგიების, მარკეტინგისა და ლოგისტიკის სფეროში.

გამოკვლევის მიზნები და ამოცანები ჩამოყალიბებულ იქნა ლოგისტიკის ბაზრების, საწარმოო და ლოგისტიკის ჯაჭვების და სისტემის განვითარების პრობლემების ანალიზის, მათი ფუნქციონირების პირობების გამოკვლევის, განვითარებულ ქვეყნებში ლოგისტიკის სისტემების, მიწოდებათა ჯაჭვებისა და სატრანსპორტო სისტემების შექმნის სფეროში თანამედროვე თეორიისა და პრაქტიკის ლოგიკური ანალიზის საფუძველზე. გამოკვლევის ძირითადი ამოცანებისა და ეტაპების გამოყოფის, ბაზრების ქვესისტემების აგების დროს გამოყენებულ იქნა სისტემური მიდგომისა და სისტემური ანალიზის, ამოცანების გადაწყვეტის თანმიმდევრულ-პარალელური გადაწყვეტის, რთული სისტემების დეკომპოზიციური ანალიზის მეთოდები.

ლოგისტიკის ბაზრების შექმნის ამოცანების ტიპიზაციისა და ინტეგრაციის საფუძველზე მის ყოველ ფაზაში ისინი გაერთიანებულნი არიან პროგრამულ-ფუნქციონალურ მოდულებში. მოდულების/კომპლექსების ჩამოყალიბებისა და მათი შეთანხმების დროს გამოყენებულ იქნა მოთხოვნისა და მიწოდების რაციონალური

შერწყმის პრინციპი.

პროგრამულ-მიზნობრივი მიდგომის დებულებათა საფუძველზე დამუშავებულ იქნა ლოგისტიკის ბაზრებისა და მათი ქვესისტემების ოპტიმალური და გეგმვის მეთოდოლოგია, რომელიც შედგება შემდეგი ამოცანე ბისაგან: მიზნობრივი, პროგრამულ-ანალიზური, ოპტიმიზაციური, ეკონომიკური ანალიზის, იმიტაციური. ამის საფუძველზე აგებულ იქნა მოდელების სტრუქტურულ-ლოგიკური სქემა, რომელიც აწარმოებს სხვადასხვა სტრუქტურების სისტემურ კავშირს, მიმდინარე და მოცულობითი გეგმების, ლოგისტიკის სამუშაოთა, მიწოდებათა და პროდუქციის რეალიზაციის გეგმების შეთანხმებას.

ლოგისტიკის ბაზრებში პროცესების ეფექტურობის შეფასებისათვის და რამოდენიმე ალტერნატიული ვარიანტიდან ოპტიმალურის შერჩევისათვის დამუშავებულ იქნა ოპტიმალობის კრიტერიუმების კომბინირებული გამოყენების სისტემა, რომელიც აერთიანებს: სუფთა დისკონტირებული შემოსავლის მაქსიმუმს ($\max SDS^{ML} \geq 0; SI \geq 1; CSMN^{ML} \geq E_i^{ob}$). მიზნის ფუნქციის სახისა და მოდელის გამომავალი პარამეტრების ხასიათის მიხედვით შერჩეულ იქნა სისტემის ოპტიმიზაციის მოდელის ტიპი. ამ დროს წყდება სატრანსპორტო პროცესის ერთობლივი დაგეგმვა საწარმოო და სასაწყობო პროცესებთან ერთად. საერთო მოდელის სახით შერჩეულ იქნა მიწოდებათა ჯაჭვის სტრატეგიული მართვის კომბინირებული მოდელი. იგი აერთიანებს ლოგისტიკის აგრარული ცენტრის საწარმოო პროგრამის ოპტიმიზაციის ეკონომიკურ-მათემატიკურ მოდელს. კლასიკური ტიპის სატრანსპორტო ამოცანა – პაკეტირებული მზა პროდუქციის სარკინიგზო გადაზიდვების ოპტიმიზაციის მათემატიკური მოდელი მარშრუტით „ცენტრალური კომპანია – ლოგისტიკური კომპლექსის განლაგებისა და ტექნიკური აღჭურვილობის ოპტიმიზაციის მათემატიკური მოდელი – დანიშნულების ტერმინალი DAT“. საექსპორტო ციტრუსების საავტომობილო პაკეტური გადაზიდვების ოპტიმიზაცია მარშრუტით „დანიშნულების ტერმინალი – დანიშნულების ცენტრი“.

გამოკვლევა ჩატარდა ქართული საექსპორტო პროდუქციის – ციტრუსების მიწოდებათა სისტემის ოპტიმიზაციის მაგალითზე: ოპტიმიზაციის ობიექტი წარმოადგენდა რეგიონული აგრარული ლოგისტიკის ცენტრის ფუნქციონირებისა და ტექნიკური აღჭურვილობის მაგალითზე ბალტიისპირეთისა და პოლონეთის

რესპუბლიკების სასაქონლო ბაზრების მაგალითზე, ჯაჭვში: „რეგიონული ფერმერული მეურნეობა – რეგიონული ლოგისტიკის აგრარული ცენტრი“, ინტერმოდალური მიწოდების სისტემა – აგრარული ცენტრი – სარკინიგზო (საზღვაო) ტრანსპორტო – გამგზავნი საზღვაო პორტი – საზღვაო ტერმინალი – საზღვაო (სარკინიგზო) ტრანსპორტი დანიშნულების პორტი (მიმღები საზღვაო ტერმინალი) – სარკინიგზო ტრანსპორტი – დანიშნულების ტერმინალი – საავტომობილო ტრანსპორტი – დანიშნულების ცენტრი“. ოპტიმალობის კრიტერიუმის საფუძველზე მათემატიკური მოდელების ფორმალიზაცია საზღვაო სარკინიგზო და საავტომობილო ტრანსპორტის მონაწილეობით პაკეტური გადაზიდვების შემთხვევაში, ჩატარდა მოდელების ალგორითმიზაცია და ოპტიმალური პარამეტრების შერჩევა სანდოობის მისაღებ დონეზე ($P = 0,95$).

სატრანსპორტო-სასაწყობო ნაკადების კანონზომიერებათა შესწავლა წარმოებს ასეთი ობიექტების გამოკვლევის საფუძველზე. სტატისტიკური ინფორმაციის დამუშავების დროს გამოიყენება მათემატიკური სტატისტიკისა და ალბათობის თეორიის მეთოდები სეზონურობის გამოკვლევის, ტვირთნაკადებისა და პროგნოზირების ნორმატიული ბაზის ანგარიშის დროს გამოიყენება ჰარმონიული ანალიზის, სტოქასტიური მოდელირებისა და ინტერპოლაციის მეთოდები.

სასაწყობო-ტერმინალური ქვებისტემების ფუნქციონალური გამოკვლევების დროს გამოიყენება გრაფების, სტატისტიკური გამოცდის, იმიტაციური მოდელირების, არაწრფივი პროგრამირების, შემთხვევითი პროცესების თეორიისა და სხვათა მეთოდები.

ნაშრომში მოყვანილმა ჩატარებულმა გამოკვლევებმა საშუალება მოგვცა გადაგვეწყვიტა საერთაშორისო ბაზრებზე ციტრუსების საექსპორტო მიწოდებათა ინტერმოდალური სისტემების შექმნის, ეფექტურობის ამაღლებისა და განვითარების ოპტიმიზაციის კომპლექსური თეორიის დამუშავების პრობლემა ლოგისტიკის აგრარული ცენტრების მონაწილეობით. პრობლემის დამუშავებას საფუძვლად უდევს ინტეგრირებული ლოგისტიკის, ინტერმოდალიზმის, საერთაშორისო მარკეტინგისა და მიწოდებათა ჯაჭვების მარ თვის მიდგომები, რომელთა დანერგვა მნიშვნელოვან წვლილს შეიტანს საერთაშორისო ინტეგრირებული ლოგისტიკური სისტემებისა და მიწოდებათა გლობალური ჯაჭვების პროექტირების და ექსპლუატაციის საქმეში.

თავი 2. შედეგები და მათი განსჯა

2.1. საერთაშორისო სასაქონლო ბაზრებზე ციტრუსების საექსპორტო

მიწოდებათა ინტერმოდალური სისტემის სტრუქტურულ-ფუნქციონალური გამოკვლევა და ფუნქციონირების დაგეგმვის ოპტიმიზაციის მათემატიკური მოდელირების საფუძვლების დამუშავება.

2.1.1. რეგიონული აგრარული ლოგისტიკის ცენტრებში საექსპორტო

მიწოდებათა ინტერმოდალური სისტემის შექმნისა და განვითარების პროგნოზირების, დაგეგმვის, პროექტირებისა და მართვის ძირითადი ამოცანები

მიმწოდებლებიდან მომხმარებლებისაკენ საექსპორტო ციტრუსების მატერიალური ნაკადების წინსვლის დაგეგმვის პრობლემის გადაჭრის საერთო მიდგომები და თვით დაგეგმვის პროცესისადმი წაყენებული მოთხოვნები საერთო ლოგისტიკის ფუნქციონალური შესრულების ჩარჩოებში ატარებს კომპლექსურ ხასიათს.

რეგიონულ საერთაშორისო სასაქონლო ბაზრებზე საქონლის მოძრაობის სატრანსპორტო-ლოგისტიკის ჯაჭვების და სისტემების შექმნა მოიცავს გზებს, რომლებიც უზრუნველყოფენ ლს ფუნქციონირების სასურველი რაოდენობრივ-ხარისხობრივი მახასიათებლების მიღებას. შედეგადად შემდეგი ეტაპებისაგან: 1. თეორიული წინამძღვრები, 2. სამუშაო ჰიპოთეზა, 3. ექსპერიმენტის დაგეგმვა და ჩატარება, 4. შედეგებისა და ეფექტურობის დამუშავება, 5. წინადადებებისა და რეკომენდაციების დამუშავება.

ყველაზე რთულს ლოგისტიკის ბაზრების განვითარების, დაგეგმვისა და მართვის მოდელური კომპლექსის დამუშავებაში წარმოადგენს ლოკალური მოდელების სინთეზირება მაკრომოდელურ კომპლექსში, და უშუალოდ, ლოკალური მოდელების რეალიზაციის შედეგად მიღებული ოპტიმალურ-გეგმიური გადაწყვეტილებათა შეთანხმება ამა თუ იმ იერარქიულ დონეზე. ამავე დროს ლს ოპტიმიზაცია გულისხმობს შემდეგი ურთიერთდაკავშირებული ამოცანების გადაწყვეტას [46, 41].

ტექნოლოგიური მიზნების ცალკეული ამოცანების გამოვლენისათვის საჭიროა გამოყენებული იქნას რთული სისტემების დეკომპოზიციური ანალიზის მეთოდი [31,

41, 65].

რთული სისტემების დეკომპოზიციური ანალიზის სქემისა და ალგორითმის რეალიზაციის შედეგად მივიღეთ სისტემების ფუნქციების ან და ლოგისტიკის ბაზრების სრულყოფის, დაგეგმვისა და განვითარების ოპტიმიზაციის ამოცანების „ხე“.

ლს დაგეგმვისა და განვითარების ოპტიმიზაციის ასეთი კომპლექსის სისტემატიზაციის შედეგად მიიღწევა ცენტრალიზაციის პრინციპი სისტემის განზოგადოებული სტრუქტურის კლასიფიკაციის შედეგად.

ექსპერტულ შეფასებათა მეთოდით [32] ჩვენს მიერ ჩატარებულმა დეკომპოზიციურმა ანალიზმა შესაძლებლობა მოგვცა გაგვესაზღვრა ლოგისტიკის ბაზრების დაგეგმვის, ოპტიმიზაციის, ორგანიზაციისა და მართვის, აგრეთვე მათი განვითარების პროგნოზირების სისტემები, რომლებიც შედგებიან ქვესისტემების, ან და ამოცანების კლასებისაგან.

მოგვყავს შემოთავაზებული ამოცანების ჩამონათვალი მთლიანობაში დაგეგმვის ამოცანების გადაჭრაში: 1. საერთაშორისო ლოგისტიკა და ლოგისტიკის მარკეტინგი, როგორც საერთაშორისო ლოგისტიკის ბაზრების შექმნის მეთოდოლოგიური საფუძველი; 2. საერთაშორისო რეგიონული ლოგისტიკის ბაზრების სისტემური სტრუქტურულ-ფუნქციონალური გამოკვლევა, სტრუქტურულ-პარამეტრული და განზოგადოებული მათემატიკური მოდელი; 3. ცენტრალური კომპანიის მზა პროდუქციის საწყობის გამოკვლევა და ოპტიმიზაცია. 4. სარკინიგზო ტრანსპორტით მზა პროდუქციის პაკეტური გადაზიდვების ორგანიზაცია და დაგეგმვა; 5. სხვადასხვა სახის ტრანსპორტის ურთიერთქმედების ოპტიმიზაცია ინტერმოდალურ გადაზიდვებში; 6. საერთაშორისო ბაზრებზე საექსპორტო პროდუქციის ინტერმოდალური გადაზიდვების ძირითადი ელემენტების ორგანიზაციული მოწყობის საფუძვლების დამუშავება; 7. საწყლოსნო ტრანსპორტით ტრანსპორტირების ორგანიზაცია და დაგეგმვა; 8. შერეული საზღვაო-სახმელეთო ტიპის ტერმინალის ოპტიმიზაცია და დაგეგმვა; 9. წვრილ გზავნილებათა სატრანსპორტო-სასაწყობო კომპლექსის ოპტიმიზაცია და დაგეგმვა; 10. საერთაშორისო ლოგისტიკის ბაზრების სტრატეგიული დაგეგმვა; 11. საექსპედიციო და ოპერატიული

კომპანიების ფუნქციონირების ოპტიმიზაცია და დაგეგმვა; 12. საერთაშორისო ლოგისტიკის ბაზრების ეფექტურობის განსაზღვრის მეთოდის და დაგეგმვა; 13. ლოგისტიკის ბაზრებზე ფასწარმოქმნის მეთოდის და დაგეგმვა; 14. ლოგისტიკის პარტნიორების შერჩევის მეთოდის და დამუშავება [87].

ლოგისტიკის ბაზრების ქვესისტემების მოდელების კომპლექსის აგების თეორიული საკითხების გამოკვლევა მოწმობს მართვის საერთო სისტემაში ამ კომპლექსების შექმნის სხვადასხვა ვარიანტების აგებას ისეთი ალგორითმების ურთიერთქმედების საფუძველზე, რომლებიც განსხვავდებიან ინფორმაციის გამოყენებისა და დამუშავების ხერხებით. ამიტომ მოდელების კომპლექსების შექმნის პროცესში გამოყენებული იქნა რთული სისტემების ანალიზისა და სინთეზის აგრეგატულ - დეკომპოზიციური და ოპტიმიზაციურ-იმიტაციური მიდგომების მეთოდოლოგიური ასპექტები [17, 125, 136].

პროგრამულ-მიზნობრივი მიდგომის დებულებათა არსის შესწავლის საფუძველზე ჩვენს მიერ შემოთავაზებულია ლოგისტიკის ბაზრის ოპტიმალური და გეგმვის მეთოდის და დაგეგმვა, რომელიც დანაწილებულია შემდეგ სტადიებად: მიზნობრივი – პროგნოზულ-ანალიზური, ოპტიმიზაციური, ოპტიმიზაციურ-იმიტაციური და ეკონომიკური ანალიზის. ასეთი აგების საფუძველზე მოდელების კომპლექსის სტრუქტურულ-ლოგიკური სქემა ახორციელებს სხვადასხვა სტრუქტურების სისტემურ და კავშირებას, ცენტრალური კომპანიის მომარაგების, საწარმოო პროცესის, სატრანსპორტო-ლოგისტიკის კომპლექსების, ინტერმოდალური ტრანსპორტისა და ოპერატორული კომპანიის ლოგისტიკის პარტნიორების სტრუქტურების, ურთიერთდაკავშირებულ დარგებში წარმოების, ლოგისტიკის სამუშაოთა მოცულობების, ტვირთბრუნვის, ნედლეულით მომარაგებისა და რეალიზაციის მიმდინარე და მოცულობით-კალენდარული გეგმების შეთანხმებას. მოთხოვნის შეთანხმებას საწარმოო, სატრანსპორტო და ლოგისტიკური ინფრასტრუქტურის საწარმოო სიმძლავრეებთან, ლიმიტირებული მატერიალური და შრომის რესურსებთან. ასეთ კომპლექსებში მიღებულ გადაწყვეტილებათა კორექტირება წარმოებს სტოქასტიურობის, არაწრფივობის, ლოგისტიკის ბაზრის განვითარების მაჩვენებლების ურთიერთკავშირების შესაბამისად ტექნიკური, ორგანიზაციულ-ეკონომიკური, ტექნოლოგიური, ბუნებრივ-კლიმატური,

საბაზრო, სოციალური და სხვა ფაქტორების გავლენის გათვალისწინებით. მოდელების ასეთი შერწყმა საშუალებას გვაძლევს თავიდან ავიცილოთ ნაკლოვანებები, რომლებიც დამახასიათებელია ცალ-ცალკე მოდელირების თითოეული მეთოდისათვის.

ლოგისტიკის ბაზრების შექმნისა და განვითარების ოპტიმიზაციის მოდელური კომპლექსის ფუნქციონირების საბაზო სქემა მოყვანილია ნახ. 2-ზე.

საერთაშორისო ლოგისტიკის ბაზრების შექმნის სამეცნიერო-ტექნიკური მეთოდოლოგია მოიცავს შემდეგ ასპექტებს: საკუთრივ დამუშავების პროცესს, რომელსაც მიეკუთვნება საჭირო სამეცნიერო-კვლევითი და საცდელ-საკონსტრუქტორო სამუშაოები, რომლებიც უზრუნველყოფენ სისტემის შექმნის ამოცანების კომპლექსს;


1. ლოგისტიკის ტექნოლოგიების დამუშავებისა და ათვისების პროცესი. ისინი შეიძლება გაერთიანებული იქნან ერთ პროცესში, რომელიც შეადგენს საბოლოო შედეგის მიღების არსს;

2. უზრუნველყოფის პროცესი, რომელიც მოიცავს კადრებს, მატერიალურ რესურსებს, ტექნიკურ საშუალებებს და სხვა;

3. მართვის პროცესის არსებობა, რომელიც მოიცავს ლოგისტიკის პარტნიორების საქმიანობის კოორდინაციას, ინტეგრაციასა და პარტნიორობას საერთო მიზნების მისაღწევად მინიმალური რესურსების გამოყენებით;

4. აუცილებელია განვითარების პროცესის არსებობა კლიენტურის ამოცანების ჩათვლით.

განვითარების პროცესმა უნდა უზრუნველყოს ლოგისტიკის და სასაქონლო ბაზრების სრულყოფის პერსპექტივა, აგრეთვე ტექნოლოგიური მიზნების ურთიერთკავშირი გარემოს მოთხოვნებთან.



ნახ. 2. საერთაშორისო რეგიონალური ლოგისტიკის ბაზრების შექმნისა და განვითარების ოპტიმიზაციის ამოცანების მოდელური კომპლექსის ფუნქციონირების საბაზო სქემა.

**2.1.2. რეგიონული აგრარული ლოგისტიკის ცენტრი, როგორც
საერთაშორისო სასაქონლო ბაზრებზე ციტრუსების
მიწოდებათა ინტერმოდალური სისტემის ძირითადი საწარმოო
რგოლი და ცენტრალური კომპანია**

ლოგისტიკის სისტემის სახით შეიძლება განვიხილოთ ციტრუსების მიღებისა და გადამუშავების რეგიონული ლოგისტიკის აგრარული ცენტრი. ამ სახის პროდუქციის გადამუშავების ტერიტორიული საწარმოო კომპლექსი, სავაჭრო კომპლექსი, როგორც საექსპორტო პროდუქციის რეგიონული გამანაწილებელი სისტემა და სხვ. ასეთი ლოგისტიკის სისტემების მიზანია ციტრუსოვანი ხილისა და მისი გადამუშავების პროდუქტების მიტანა მოცემულ ადგილზე, საჭირო დროს, მოთხოვნილი რაოდენობითა და ასორტიმენტით ერთობლივი დანახარჯების მინიმალური დონის დროს.

თუ გამოვალთ იქიდან, რომ საქონელმოძრაობის ლოგისტიკა აწარმოებს დროში და სივრცეში ციტრუსებისა და მათი გადამუშავების პროდუქტის მატერიალური და მათი თანმხლები ნაკადების განთავსებას ოპტიმიზაციით, მაშინ ყველაზე საერთო ფორმით შეიძლება ჩამოვაყალიბოთ ასეთი განმარტება:

ლოგისტიკის სისტემა წარმოადგენს ორგანიზაციულად გაფორმებულ ციტრუსების მოძრაობის ურთიერთდაკავშირებულ სისტემაწარმოქმ-ნელი ელემენტების ერთობლიობას (ლოგისტიკის სისტემის რგოლებს (ფერმერული მეურნეობები, ტექნოლოგიური ტრანსპორტი, აგრარული ცენტრის მიმღები, მაცივარ-შემნახველები, კონსოლიდაციის კომპლექსები, სარკინიგზო ტრანსპორტი, გადამტვირთი მულტიმოდალური კომპლექსები. დანიშნულების ტერმინალი, საავტომობილო ტრანსპორტი, დანიშნულების ცენტრი) და უზრუნველყოფის ქვესისტემებს, რომლებიც ინტეგრირებულია ციტრუსების საექსპორტო ნაკადებით და ბიზნესის გაძლოის ერთიან სისტემაში, რომელთა ფუნქციონირება მიმართულია დროში და სივრცეში სასაქონლო-მატერიალური (ციტრუსების) და თანმხლები ნაკადების განთავსების რაციონალიზაციაზე მომხმარებელთა მოთხოვნების დაკმაყოფილების მიზნით ციტრუსების მიწოდებისა და მომსახურების ხარისხში და მთლიანობაში (ციტრუსების

დამუშავების და მიწოდების) სისტემის ფუნქციონირებისაგან მაქსიმალური სინერგიული ეფექტის მიღებისათვის.

აგრარული ცენტრის ლოგისტიკის სფეროში შედიან: ციტრუსების ნედლეულის, მიზიდვა და დახარისხება; არაკონდიციური ციტრუსების სამრეწველო გადამუშავების პროდუქტის წარმოება; მათი შეფუთვა, კონსოლიდირებული სატვირთო ერთეულების შექმნა და უცხოეთის სასაქონლო ბაზრებზე მზა პროდუქციის მიწოდება. მათი მიწოდება ამა თუ იმ პირობებში, განაწილება და მიზიდვა იწარმოებს საბოლოო მომხმარებელთან. ლოგისტიკის მიდგომა ორიენტაციას აძლევს ყველა ამ რთულ, მრავალგოლიან სისტემას მომხმარებლისათვის საჭირო მაღალხარისხიანი პროდუქციის გამოშვებაზე მისთვის საჭირო რაოდენობაში და საქონლის საიმედო მიზიდვაში მოთხოვნის ადგილზე საჭირო (მინიმალურ) ვადებში.


ნახ. 3 მოყვანილია რეგიონული გამანაწილებელი აგრარული ცენტრის ლოგისტიკის სისტემა. ლოგისტიკი სისტემის ელემენტები გაერთიანებულნი არიან სამ ჯგუფში, რომლებიც მოიცავენ ლოგისტიკის სამ მსხვილ განყოფილებას: მომარაგების, წარმოებისა და განაწილების ლოგისტიკა. **მომარაგების ლოგისტიკა** (Logistics of Supply) მოიცავს აგრარული ცენტრის ლოგისტიკის სისტემის ყველა გარე შემომავალ მატერიალურ ნაკადს: ფერმერულ მეურნეობებიდან, დამზადებული დაუხარისხებელი ციტრუსების ხილის, ტარისა და პაკეტირების საშუალებების, სამრეწველო პროდუქციის კომპონენტების, რესურსების მატერიალურ ნაკადებს. უზრუნველყოფს მათ შემოსვლას აგრარულ ცენტრში. მათ სატრანსპორტო კავშირებს რეალიზებას უკეთებენ სატრანსპორტო-საექსპედიციო ფირმები. ყველა ეს ელემენტები ტრანსპორტირების ჩათვლით ლს ფარგლებში იმართება მატერიალურ-ტექნიკური მომარაგების განყოფილების მიერ. ეს განყოფილება დებს მიწოდების ხელშეკრულებას ფერმერულ მეურნეობებთან, სატრანსპორტო-საექსპედიციო კომპანიებთან, ქარხანა – მიმწოდებლებთან, ათანხმებს მიწოდებათა გრაფიკებს, აკონტროლებს მათ შესრულებას.

წარმოების ლოგისტიკა (production logistics): მოიცავს მთელ სამრეწველო წარმოებას. ციტრუსების მიღებისა და გადამუშავების ტექნოლოგიურ საამქროს, დახარისხებული ციტრუსების დროებითი შენახვის მაცივარ შემნახველებს, არაკონდიციური ციტრუსებისაგან პროდუქციის გადამუშავების ტექნოლოგიურ

საამქროს; შეფუთვისა და კონსოლიდაციის კომპლექსს; ტარის, მატერიალური რესურსებისა და საძირების საწყობს. დაგეგმვისა და მართვის, მატერიალურ-ტექნიკური მომარაგების და გასაღების განყოფილებებს. საქონლის ფიზიკური მოძრაობა აქ იწყება ციტრუსების მიღებისა და გადამუშავების ტექნოლოგიურ საამქროდან, ტარის, მატერიალური რესურსებისა და საძირების საწყობიდან და მთავრდება მზა პროდუქციის საწყობით. შუალედური საამქროები: ტექნოლოგიური ხაზები, დახარისხებული პროდუქციის მაცივარშემნახველები, მზა პროდუქციის დროებითი შენახვის საწყობები, მზა პროდუქციის შეფუთვისა და კონსოლიდაციის კომპლექსები დაკავშირებულია ერთმანეთთან და საწყობებთან შიდა სატრანსპორტო კავშირებით, რომელსაც ახორციელებს შიდა საქარბნო ტრანსპორტი ელექტროდამტვირთავების სახით.

მარკეტინგისა და გაყიდვების მონაცემების საფუძველზე დაგეგმვისა და მართვის განყოფილება აყალიბებს საწარმოო პროგრამას განსაზღვრული პერიოდისათვის (დეკადა, თვე, კვარტალი). საწარმოო პროგრამა მოიცავს საგეგმო მაჩვენებელს (ასორტიმენტს გამოსაშვები პროდუქციის) რაოდენობის მიხედვით. ეს პროგრამა შემდეგში ნაწილდება გეგმების – ყველა საწარმოო ქვედანაყოფების მიერ პროდუქციის გამოშვების გრაფიკების სახით, რომლებიც მუშაობენ საწარმოო პროგრამაზე.

საწარმოო პროგრამის მიხედვით იანგარიშება მოთხოვნა საწყის მასალებზე, ნედლეულზე სატრანსპორტო ტარაზე, საძირებზე და პაკეტირების საშუალებებზე. მთელი დაგეგმილი პროდუქციის გამოსაშვებად ყალიბდება მატერიალურ-ტექნიკური მომარაგების გეგმა: მატერიალურ-ტექნიკური მომარაგების ამოცანა მდგომარეობს: შემდეგში საწყობში ყველა საქონლისათვის შემოსული ტარის, შეფუთვისა და მასალების უზრუნველყოფაში.



ნახ. 1.2. რეგიონული აგრარული ცენტრის ლოგისტიკური სისტემა

ნახ. 3 რეგიონული გამანაწილებელი აგრარული ცენტრის ლოგისტიკის სისტემის სქემა

განაწილების ლოგისტიკა (Logistics of distribution) მოიცავს აგრარული ცენტრის მთელ გამანაწილებელ ქსელს (გასაღების) და მარკეტინგის განყოფილება ორგანიზებას უკეთებს, ანალიზებს და მართავს საექსპორტო ციტრუსების, საკონსერვო პროდუქციის გაყიდვებს, რომლებიც გამოშვებულია აგრარული ცენტრის მიერ და ინახება მზა პროდუქციის საწყობში. პროდუქციის უშუალო მომხმარებლებს, როგორც წესი (კონსერვირებული პროდუქციის), წარმოადგენენ მსხვილი საბითუმო მყიდველები (ბაზები), რომლებიც აკონტროლებენ საქონლის გაყიდვებს მსხვილ რეგიონებში. სადისტრიბუციო (გამანაწილებელი) ცენტრები წარმოადგენენ საბითუმო გამყიდველის თანამედროვე ტიპს, რომლებიც ფლობენ საკუთარ სასაწყობო კომპლექსებს. სადისტრიბუციო ცენტრების თანამედროვე ლოგისტიკის კონცეფცია გულისხმობს მათ მიერ განაწილებითი ფუნქციის შესრულებას, ძვირადღირებული სასაწყობო შენახვის ოპერაციები მინიმიზირებულია, ხოლო იდეალურ შემთხვევაში არ არსებობს. შემდეგ წარმოებს გამანაწილებელი ქსელის სულ უფრო წვრილი დიფერენციაცია. ვაჭრობის, მსხვილ საბითუმო რგოლის კლიენტებს წარმოადგენენ წვრილსაბითუმო ფირმები, რომელთაც აქვს მყიდველების თავისი ქსელი. მაგალითს წარმოადგენენ მცირე სადისტრიბუციო ცენტრები, რომლებიც აკონტროლებენ რეგიონის ამა თუ იმ ნაწილს, საბოლოო მომხმარებელი ახორციელებს წარმოებული საქონლის მოხმარებას. გამანაწილებელი საქონელგამტარი ქსელის ეფექტურობა განისაზღვრება ტრანსპორტირების ხარისხით მის ელემენტებს შორის. სატრანსპორტო კავშირები მითითებულია ფართო ისრებით, საქონლის გადაადგილებას უზრუნველყოფენ სატრანსპორტო და საექსპედიტორო ფირმების დიდი რაოდენობა. მიწოდებათა დაგეგმვა ხორციელდება თვით ქსელის მონაწილეთა მიერ.

გაყიდვებისა და მარკეტინგის სამსახური ანალიზებს გაყიდვების მოცულობას, სწავლობს საბოლოო მოთხოვნილებებს. მათ მიერ პროგნოზირებული გაყიდვების მოცულობებს, აგრეთვე გამოშვებული პროდუქტის ასორტიმენტი წარმოადგენს საწყის მონაცემებს წარმოების დაგეგმვისათვის.

ამრიგად, რეგიონული ლოგისტიკის აგრარული ცენტრის ორგანიზაციულ-ფუნქციონალური სტრუქტურის და მისი ლოგისტიკის სისტემის შინაარსისა და ფუნქციების ღრმად გაცნობა საშუალებას გვაძლევს განვსაზღვროთ რეგიონული

აგრარულ ცენტრების გამოკვლევის თეორიულ-პრაქტიკული და მეთოდოლოგიური საკითხები.

ჩამოთვლილი მათემატიკური მოდელების ფორმალიზაციისა და ალგორითმიზაციის საფუძველზე მიღებულ იქნა გამოსაკვლევი სისტემის ელემენტები სატრანსპორტო-ლოგისტიკის ობიექტების ტექნიკურ-საექსპლუატაციო და საპროექტო პარამეტრებში მათი გამოკვლევისა და ოპტიმიზაციის გზით. ამ პრობლემის გადაწყვეტისადმი სადისერტაციო ნაშრომში მიძღვნილია პარაგრაფები. 2.2.1; 2.3.1; 2.3.2; 2.3.3; 2.3.4; 2.4.2; 2.4.3; 2.4.4.

რეგიონული ლს საორგანიზაციო სტრუქტურების შერჩევა და ოპტიმიზაცია ხორციელდება ძირითადად კომპლექსური ფაქტორებისა და მეთოდოლოგიური პრინციპების გამოყენებით.

2.1.3. საერთაშორისო რეგიონულ ლოგისტიკის ბაზრებზე

საექსპორტო ციტრუსების ლოგისტიკის ჯაჭვის სქემები.


**საერთაშორისო რეგიონული ლოგისტიკის ცენტრების
დაგეგმვისა და მართვის იმიტაციური მოდელი**

საერთაშორისო მიმოსვლებში ტვირთების მიზიდვის ლოგისტიკის ჯაჭვის სქემა საავტომობილო, სარკინიგზო და საზღვაო ტრანსპორტის მონაწილეობით ნაჩვენებია ნახ. 4.

ლოგისტიკის ჯაჭვების სქემების დაგეგმვისა და ოპტიმიზაციისათვის საავტომობილო, საზღვაო, სარკინიგზო ტრანსპორტის, სასაწყობო მეურნეობისა და საექსპედიციო ოპერატორული კომპანიის მონაწილეობით ჩვენს მიერ და მუშავებულ იქნა ალგორითმი (ნახ. 6), რომლის გამოყენება პრაქტიკაში საშუალებას გვაძლევს დავზოგოთ შეკვეთების დრო ჯაჭვის ვარიანტების დასაბუთებაზე და შერჩევაზე, აგრეთვე ფინანსური რესურსებისგან საზღვრაზე.

ალგორითმის და მუშავების ძირითად მიზანს წარმოადგენს ლოგისტიკის

დანახარჯების კლასიფიკაციის აპრობაცია და დაგეგმილი მიწოდების მონაწილეთა მიერ მათი გამოყენება ოპერატიულ გადაწყვეტილებათა მიღებისათვის, ბიუჯეტის ფორმირებისათვის. ამიტომ ალგორითმის გამოყენების დროს ჩვენს მიერ საფუძვლის სახით მიღებულ იქნა დანახარჯების ყველაზე საერთო (ტიპიური სახეები), როგორც საკვანძო საყრდენი ჯაჭვის სქემების ოპტიმიზაციის დროს და მიზიდვა საერთო ლოგისტიკის კრიტერიუმის მინიმუმის (სუფთა დისკონტირებული შემოსავლის მაქსიმუმის მიხედვით ჯაჭვის აგებაზე. ამავე დროს თითოეულ ლოგისტიკის ჯაჭვში გათვალისწინებული უნდა იქნას ტვირთის სახე და მიზიდვის მონაწილეთა ტიპი, აგრეთვე მათი რაოდენობა. მსგავსი სახის ლოგისტიკის ჯაჭვში შეიძლება ინკოტერმს 2010-ის რამოდენიმე ვარიანტის გამოყენება, რომლებიც განსაზღვრავენ ჯაჭვის სქემას და ლოგისტიკის დანახარჯების დონეს მის მომსახურებაზე. ერთ-ერთი ვარიანტის კონკრეტული შერჩევა პირდაპირ აისახება ლოგისტიკის დანახარჯების სიდიდეზე როგორც ტვირთგამგზავნთან, ისე ტვირთმიმღებთან (გაყოფის პირობები). ლოგისტიკის და ნახარჯებისა და რისკების გადაცემის პირობები და ვითარება, რომლებიც დაკავშირებულია ჯაჭვების მომსახურებასთან, მოყვანილია ალგორითმში. საბაზოს საყრდენი ალგორითმის დასამუშავებლად ჩვენს მიერ შერჩეულია მიწოდების შემდეგი პირობები. საერთოდ ვთვლით, რომ ლოგისტიკის ბაზრებზე საექსპორტო პროდუქციის გადაადგილება ხორციელდება ექსპედიტოროპერატორის მეშვეობით. მისი მომსახურება მოიცავს შემდეგ პირობებს, სადაც ყველა დანახარჯების გადახდა და პასუხისმგებლობა და საწყობების გამოკლებით, ტრანსპორტირებას სარკინიგზო (საავტომობილო) ტრანსპორტზე, იხდის ტვირთმიმღები (ოპერატორი), FAS, FOB, FCA, DDP, DAT და DAP – სადაც ყველა ლოგისტიკის პასუხისმგებლობა გადადის ტვირთგამგზავნაზე; CPT, სადაც ადგილი აქვს ლოგისტიკის დანახარჯებისა და პასუხისმგებლობის გაყოფას (ტვირთგამგზავნისა და ტვირთმიმღებს შორის (კონტრაქტის მიხედვით იხდის ოპერატორი).



ნახ. 4. საერთაშორისო მიმოსვლაში ტვირთების მიზიდვის ლოგისტიკის ჯაჭვი საავტომობილო, სარკინიგზო და საზღვაო ტრანსპორტის მონაწილეობით

განვიხილოთ ლოგისტიკის სისტემებთან დაკავშირებადი ინვესტიციების ეკონომიკური ეფექტურობის განსაზღვრის მეთოდოლოგია. მეთოდოლოგია დაწვრილებით გადმოცემულია [2,3].

ლოგისტიკის სისტემების პროექტების ტექნიკურ-ეკონომიკური დასაბუთების სტადიაზე, შედეგებისა (R_i) და დანახარჯების (Z_i) ღირებულებითი შეფასებისათვის ანგარიშები წარმოებს პროგნოზულ და საანგარიშო ფასებში.

სხვადასხვა დროის მაჩვენებლების თანამეზომვა ხორციელდება მათი დაყვანის (დისკონტირების) გზით, საწყის პერიოდში ღირებულებასთან, როგორც წესი დაყვანით $t=0$ დროის მომენტთან, უშუალოდ მისი პირველი ბიჯის შემდეგ

ლოგისტიკის სისტემების სხვადასხვა საინვესტიციო პროექტების (ან და პროექტების ვარიანტების) შედარება და მათგან საუკეთესოს შერჩევა რეკომენდებულია ვაწარმოთ შემდეგი მაჩვენებლების: სუფთა დისკონტირებული შემოსავლის (SDS), შემოსავლიანობის შინაგანი ნორმის (MSN), შემოსავლიანობის ინდექსის (SI) და გამოსყიდვის ვადის (GB) საფუძველზე. ოპტიმიზაციის პარამეტრები აღწერილია [23]

ლოგისტიკის ბაზრების ოპტიმიზაციის მრავალ კრიტერიალური ამოცანა ვექტორულ ფორმაში შეიძლება წარმოვადგინოთ ასე:

$$\Pi_{LM} = \gamma(\max Q_{LM}; \max P_{LM}; \min Z_{LM}^0; \max P_{LM}; \min C_{LB}; \max SDS_{LB}^{მლ}). \quad (1)$$

მრავალკრიტერიალური ამოცანების გადაწყვეტის სხვადასხვა ხერხების მეთოდოლოგია აღწერილია ლიტერატურაში [50].

თანამედროვე საერთაშორისო ლოგისტიკის ცენტრების შექმნა დაფუძნებულია გაეროს შესაბამისი სტრუქტურების, საერთაშორისო სავაჭრო-სამრეწველო პალატის, ევროკავშირის და სხვა საერთაშორისო ორგანიზაციების მიერ შემუშავებული ლოგისტიკის დასკვნებისა და რეკომენდაციების რეალიზაციაზე, რომლებიც მიიღწევა მატერიალური, მომსახურებისა და საინფორმაციო ნაკადების ინტეგრაციის გზით ლოგისტიკის მოდელების აგების დახმარებით [33, 36, 84].

იმიტაციური მოდელირების გამოყენების ძირითად სფეროებს ლოგისტიკის გამოკვლევების დროს წარმოადგენენ: 1. მატერიალური ნაკადების სისტემა, ტრანსპორტირების, დასაწყობებისა და შენახვის, დატვირთვა-განტვირთვისა და

გადატვირთვის სისტემები. 2. წარმოება: საწარმოო პროცესი, წარმოების დაგეგმვა და მართვა.

ლოგისტიკის ცენტრების იმიტაციური მოდელი წარმოადგენს მისი ცალკეული ქვესისტემების ურთიერთქმედების ალგორითმულ აღწერას მათი ქცევის შესწავლისათვის, წარმოდგენილია კომპიუტერზე მანქანური პროგრამის სახით.

ლოგისტიკის ცენტრების მოდელი წარმოადგენს იმიტაციურ კომპლექს, რომელიც მოიცავს:

- ლოგისტიკის ცენტრების ქვესისტემებს შორის ურთიერთკავშირების საერთო ბლოკ-სქემას;

- ცალკეული ქვესისტემების სქემებს, რომლებიც ხსნის სამოდელირო ობიექტების შინაარსს, კავშირებსა და დამოკიდებულებებს მათ შორის;

- საკუთრივ კავშირის ელემენტებს, რომლებიც ხსნის ელემენტარული მოვლენების მოდელირების შინაარს სხვადასხვა სახის კავშირების განხორციელების პროცესში.

ჩამოთვლილი ელემენტების იმიტაციური სისტემის ძირითად ნაწილს შეადგენს მოდელირების ალგორითმი, რომელიც აერთიანებს ელემენტარულ მოვლენებს და მათ შორის დამოკიდებულებებს ერთიან მთელად. იმისათვის, რომ მოდელირების შედეგები დაემთხვეს საინფორმაციო მოთხოვნებს, რეკომენდირებულია შემდეგი ეტაპები [21]. 1. იმიტაციის ობიექტის განსაზღვრა, 2. მოდელის ფორმირება, 3. მოდელის აგება, 4. ობიექტის ფორმალური აღწერის გარდაქმნა იმიტაციური მოდელის აღწერაში, 5. პროგრამირება, 6. მოდელის პროგრამული გამოცდა სასურველი სიზუსტისა და სანდოობის დადასტურებით, 7. ექსპერიმენტების ჩატარება კომპიუტერებზე, 8. მოდელირების შედეგების ინტერპრეტაცია და მათი გამოყენება.

ყოველივე ამის, აგრეთვე კვლევის ობიექტის განზოგადოების სპეციფიკის გათვალისწინებით დამუშავებულია ლოგისტიკის ცენტრების დაგეგმვისა და მართვის იმიტაციური მოდელის აგების ლოგიკური სქემა, რომელიც მოყვანილია ნახ. 5-ზე.

არსებობს რთული სისტემების აგებისადმი ორი, პრინციპულად სხვადასხვა მიდგომა [31]. პირველი მიდგომა დაფუძნებულია „შავი ყუთის“ მეთოდზე. მეორე

მიდგომა დაკავშირებულია რთული სისტემის საერთო მოდელის განსაზღვრასთან ურთიერთდაკავშირებული მოდელების ერთობლიობის სახით, რომელიც შეესაბამება სისტემის ცალკეულ ქვესისტემებს [65]. თითოეული ქვესისტემა იდენტიფიცირდება დაშლის სპეციფიკური რიგითობით, მოდელირდება და იწოდება მოდულად. ბოლოს ყველა მოდული ერთიანდება და შედარდება სისტემაში რეალურ ელემენტებს.

რთული სისტემის მოდელირების დეკომპოზიციის საფუძველზე მათემატიკურ ლიტერატურაში მიიღო ე.წ. სტრუქტურული მოდელირების სახელწოდება [37, 136].

ბაზრის ქვესისტემების მათემატიკური მოდელირების გაერთიანებისა და მისი ფუნქციონირების გაუმჯობესებული პარამეტრების დამუშავების შედეგად მივიღებთ ცენტრების დაგეგმვისა და მართვის იმიტაციურ მოდელს, რომელიც აღიწერება შესაბამისი ალგორითმითა და ოპერატორით.


ლოგისტიკის ცენტრების დაგეგმვისა და მართვის იმიტაციური მოდელი შეიძლება წარმოვადგინოთ სამი შემადგენელი ნაწილის სახით (ნახ. 6). 1. მართვის ობიექტის მოდელი, რომელიც განკუთვნილია პროცესების მოდელირებისათვის ნედლეულის მიწოდებისა და პროდუქციის წარმოების, ინტეგრალური დაგეგმვისა და ოპერატორული მართვით კომპანიების, ეკონომიკური ლოგისტიკის ქვესისტემებში; 2. მმართველი სისტემის მოდელი, რომელიც აწარმოებს ეკონომიკური საქმიანობის (მართვის პროცესის) მოდელირებას. მას ახორციელებს ლოგისტიკის ცენტრების მართვის აპარატი. 3. გარემოს მოდელი, რომელიც ასახავს გავლენას ლოგისტიკის ბაზრებზე.

სქემა ცხადად გვიჩვენებს, რომ სისტემის ფუნქციონირების პროცესი არსებითად წარმოადგენს შემავალი ცვლადების გარდაქმნას გამოსავალში [123].

მოდელში შემავალი პარამეტრები გაყოფილია სამ ჯგუფად: მმართველი, შემამფოთებელი, შუალედური. უკანასკნელნი დამოკიდებულია წარმოების ხასიათისაგან და არ ექვემდებარებიან ოპერატიულ მართვას. პარამეტრების ასეთი დაყოფა პირობითია და განსაზღვრულია ანალიზის, სინთეზისა და მართვის ამოცანებით. ამოცანების ან და მართვის მიზნების შეცვლის დროს პროცესის პარამეტრებმა შეიძლება შეიცვალოს ადგილები.

ნახ.5. საერთაშორისო რეგიონული ლოგისტიკის ცენტრების დაგეგმვისა და მართვის იმიტაციური მოდელის აგების პრინციპული სქემა





ნახ. 5-ის გაგრძელება. საერთაშორისო რეგიონული ლოგისტიკური ცენტრების დაგეგმვისა და მართვის იმიტაციური მოდელის აგების პრინციპული სქემა.

ლოგისტიკის ბაზრების მოდელის პარამეტრული სივრცე შეიძლება აღვწეროთ შემდეგნაირად:

შემავალი და გამომავალი პარამეტრების მთელი სიმრავლე წარმოადგენს დროის პროცესების დიდი რიცხვის ნიშნებისა და თვისებების ფუნქციას, თითოეული პარამეტრი პარამეტრულ სქემაში აერთიანებს მახასიათებლების ჯგუფს, ე.ი. წარმოადგენს ვექტორს.

საერთო შემთხვევაში სტრუქტურულ-პარამეტრული მოდელი შეიძლება წარმოვადგინოთ შემდეგი სახით:

$$H_{\text{საშ}} = \{\bar{X}(t)\} \cup \{\bar{g}(t)\} \cup \{\bar{\xi}(t)\} \cup \{\bar{Z}(t)\} \cup \{\bar{Y}(t)\} \cup \{\bar{g}(t)\} \quad (2)$$

სადაც $\bar{X}(t)$ – შემავალი მმართველი (უმართავი) პარამეტრების ვექტორია;

$\bar{g}(t)$ – აგრეთვე, შუალედური პარამეტრების;

$\bar{\xi}(t)$ – აგრეთვე, შემაშფოთებელი პარამეტრების;

$\bar{Z}(t)$ – აგრეთვე, ტექნოლოგიური პარამეტრების;

$\bar{Y}(t)$ – აგრეთვე, გამომავალი სამართავი (მდგომარეობის) პარამეტრების;

$\bar{g}(t)$ – შეზღუდვების ვექტორის.

$$\{\bar{X}_n(t)\} = \{\bar{X}_1(t)\} \cup \{\bar{X}_2(t)\} \cup \{\bar{X}_3(t)\} \cup \{\bar{X}_4(t)\} \cup \{\bar{X}_5(t)\} \cup \{\bar{X}_6(t)\}, \quad (3)$$

სადაც $\bar{X}_1(t)$ – ნედლეულისა და შემავალი სატრანსპორტო-სატვირთო ნაკადების ინტენსივობის პარამეტრების ვექტორია;

$\bar{X}_2(t)$ – აგრეთვე, ნედლეულის და ტარის პარტიის მასის;

$\bar{X}_3(t)$ – აგრეთვე ტვირთების შემადგენლობისა და სატრანსპორტო მახასიათებლების;

$\bar{X}_4(t)$ – ტარის პარამეტრების ვექტორი;

$\bar{X}_5(t)$ – აგრეთვე პაკეტიზირებული და კონტეინერული ტვირთნაკადების სატრანსპორტო მახასიათებლების ვექტორი;

$\bar{X}_6(t)$ – აგრეთვე, გარემოს პარამეტრების.

2.1.4. ციტრუსების დამზადების, შენახვისა და გადაზიდვების სტანდარტული ტექნოლოგიური რეჟიმები

ციტრუსების კრეფა ტრადიციული მეციტრუსეობის ქვეყნებში (აშშ, მექსიკა, ესპანეთი) წარმოებს. მთელი წლის განმავლობაში ტერიტორიისა და ხილის ხარისხისაგან დამოკიდებულებით. მოსავლის აღება წარმოებს გამოცდილი ბრიგადების მიერ დამოუკიდებელი კომპანიებიდან და ასოციაციებიდან.

ციტრუსოვან ხილს მიეკუთვნება მანდარინი, ფორთოხალი, ლიმონი და გრეიფუტი. ციტრუსოვანთა დანარჩენი სახეები (ციტრონი, პოლპელმუსები ცინკანი და სხვა) ნაკლებად არიან გავრცელებულნი და პრაქტიკული მნიშვნელობა არა აქვთ.

ბიოლოგიური თავისებურებანი. განპირობებულია მათი აგებულებით, ქიმიური შემადგენლობით, კერძოდ დამცველი ხასიათის ნივთიერებათა არსებობით. ციტრუსებს ასხვავებენ, სიცივის მიმართ მდგრადობით: ყველაზე გამძლეა მანდარინი და ფორთოხალი, ყველაზე ნაკლები – ლიმონი და გრეიფრუტი.

ნაყოფი აკურატულად იკრიფება ხისაგან ხილით ანდა სპეციალური სეკატორით, ათავსებენ ხილის ტომარაში და შემდეგ გადაყრიან სატრანსპორტო ყუთებში. ხილის დიდი რაოდენობა იკარგება ყრილის სახით, შემდეგ მკრეფავები აწყობენ მათ ყუთებში. როდესაც ხილი განკუთვნილია შემდგომი გადამუშავებისათვის, მას ტვირთავენ თავისუფლად ღია სატვირთო ტრაილერებზე.

მას შემდეგ, რაც ხილი მოტანილია გადამამუშავებელ საამქროში, ისინი ფრთხილად გადაიყრება ყუთებიდან კონტეინერში, რათა ისინი არ დაზიანდეს. აქ ისინი წინასწარ ხარისხდება ზომების მიხედვით, რათა მოვაშოროთ დიდი და მცირე ზომის ნაყოფები. რეცხვის წინ ხილი თავსდება დასასველებელ ავზში, რომელშიც არის სარეცხი საშუალება. ის ასუფთავებს მათ ზედაპირს და ანტისეპტიკები ლპობის ბაქტერიების გასაუვნებლად.

სარეცხი მოწყობილობა აღჭურვილია მბრუნავი ჯაგრისებით. ამის შემდეგ ხილი ირეცხება სუფთა წყლით. შემდეგ ხილი გადის ვენტილატორებს თბილი ჰაერით მათ გასაშრობად. შრობის შემდეგ ხილი იფარება პარაფინით. შემდეგ ხილი მიდის მბრუნავ კონვეიერად დამხარისხებელ მაგიდაზე. შემდეგ ხილის მახარისხებელ

მოწყობილობაზე, რომელიც ხილს ყოფს ზომების მიხედვით, სტანდარტული ხილი მიდის შემდგომ შეფუთვაზე.

შენახვის შემდეგ ხილი სასურველია გაირეცხოს, რათა მოშორდეს ნაგავი ობით. ამ დროს რეკომენდებულია გამოყენებულ იქნას სარეცხი მანქანა ძალზედ რბილი მბრუნავი ჯაგრისებით.

ციტრუსების ხილის ყველა სახემ ხისაგან მისი კრეფის წინ უნდა მიაღწიოს სიმწიფის, ფერი ყოველთვის არ წარმოადგენს სიმწიფის კრიტერიუმს. ფორთოხლის ფერის ცვლილება მოჭირებული მწვანიდან ნარინჯის ფერამდე – ეს თანდათანობითი პროცესია, რომელიც მიმდინარეობს მისი ხეზე ყოფნის დროს. არახელშემწყობმა ამინდის პირობებმა შეიძლება დააგვიანოს სიმწიფის ფერის მიღწევა ნაკლებად გამოხატული ფერს ხილი განიცდის შეღებვის პროცესს ანდა მწვანე ფერის მოხსნას სპეციალურ ბუნკერებში ანდა სპეციალურ განყოფილებებში.

მას შემდეგ, რაც ხილი შეფუთულია, იგი ცივდება, მაცივარ მოწყობილობის ეფექტურობა დამოკიდებულია შემდეგ პირობებისაგან:

1. გაცივებული ჰაერის ხარჯი ვაგონური ჩატვირთვის დროს, არა უმცირეს 1500 ლ/წმ;
2. მიწოდებული ჰაერის ფარდობითი ტენიანობა 95% და მეტი;
3. მიწოდებული ჰაერის ტემპერატურა საკანის შესასვლელში, არა უმეტეს 1 გაცივების შერჩეული ტემპერატურისაგან, ხოლო შეიძლება გაცივდეს ჩატვირთვის შემდეგ რეფრიჟერატორში ანდა კონტეინერში.

გადაზიდვა. ხილი, რომელიც ჩატვირთულია ფურგონებში, სატვირთოებში, ავტომობილებში და ვაგონებში, დაწყობილი უნდა იყოს ერთმანეთთან დაკავშირებულ შტაბელში ანდა ღრეჩოში მათ შორის, რომელიც იძლევა ჰაერის კარგი ცირკულაციის გარანტიას, თანაბარი ტემპერატურისა და მუდმივი დატვირთვის დროს. ტრეილერებში და კონტეინერებში, რომლებიც უზრუნველყოფენ ჰაერის ცირკულაციას ქვემოდან ზემოთ, შენარჩუნებულია ტვირთის მთელ მოცულობაში თანაბარი ტემპერატურა.

სუბტროპიკული კულტურების ნაყოფის შენახვა. პაკეტის მექანიზირებული ფორმირების ტექნიკა და ტექნოლოგია. მანდარინის, ფორთოხლის, ლიმონისა და

გრეიფუტის მაცივრებში გამოყოფილი უნდა იყოს სპეციალური საკნები. ამ დროს მხედველობაში უნდა იქნას მიღებული, რომ იმპორტული ფორთოხალი წარმოადგენს საკარანტინო ობიექტს და იზოლირებული უნდა იყოს სხვა სახის ციტრუსებისაგან.

სამაცივრო საკნებს ციტრუსების შენახვისათვის უნდა ჰქონდეთ კარგი ვენტილაცია, რომლებიც უზრუნველყოფენ ჰაერის ორჯერად და სამჯერად ცვლას დღეღამეში სამაცივრო საკნებს ლიმონისა და გრეიფუტის შენახვისათვის, ზამთრობით უნდა ჰქონდეს გათბობა.

სხვა ხილისაგან განსხვავებით (ვაშლი, მსხალი, ყურძენი) ყველა ციტრუსოვანი ხილი უკეთ ინახება 0°C ტემპერატურის დროს, რაც წარმოადგენს მათი შენახვის თავისებურებას. 0°C მიახლოებისას ხილი ზიანდება ფიზიოლოგიური დაავადებებით, განსაკუთრებით ხანგრძლივი შენახვისას (3-4 თვე და მეტი) ციტრუსებიდან შენახვის ყველაზე დაბალ ტემპერატურას უძლებს მანდარინი, ფორთოხალი იკავებს საშუალო ადგილს, ლიმონი და გრეიფუტი ინახება შედარებით მაღალ ტემპერატურაზე.

ციტრუსების შენახვისას ოპტიმალური ტემპერატურა და ჰაერის ფარდობითი ტენიანობა მათი სახისა და სიმწიფის ხარისხის გათვალისწინებით მოყვანილია ცხრილ 1-ში.

ყველაზე დაბალი ტემპერატურა: 9-10°C მანდარინისა და ფორთოხლისათვის 1-2°C ლიმონებისა და გრეიფუტისათვის შეიძლება გამოყენებულ იქნას მხოლოდ მოკლევადიანი შენახვისათვის (არა უმეტეს 10 დღე-ღამისა).

ფორთოხლისა და მანდარინის მომწვანო ლიმონის ბნელ-მომწვანო კანის შეფერილობის შენახვისას შეიძლება გამოყენებულ იქნას შენახვის საფეხურებიანი რეჟიმები: პირველ ორ კვირას შევინარჩუნოთ ოპტიმალური ტემპერატურა ხილის მოცემული სახისა და სიმწიფის ხარისხის გათვალისწინებით. შემდგომი – ორკვირიანი პერიოდი ტემპერატურის თანდათანობითი დაწევით 1-1,5°C.

შენახვის შემდეგ გაშვების წინ მაცივრიდან მანდარინი, ლიმონი, გრეიფუტს აგზავნიან სასაქონლო დამუშავების საამქროში, სადაც მათ გადაარჩევენ სტანდარტის მოთხოვნების შესაბამისად და ფუთავენ წინასწარ აწონილ ყუთებში.

ცხრილი 1

ციტრუსების შენახვის ოპტიმალური ტემპერატურა და ჰაერის ფარდობითი ტენიანობა მათი სახისა და სიმწიფის ხარისხის გათვალისწინებით

ხილის სახე	სიმწიფის ხარისხი (კანის შეფერილობა)	ტემპერატურა, °C	ჰაერის ფარდობითი ტენიანობა, %
მანდარინი	ყვითელი	1-2	85-90
	ღია ყვითელი ხილის ზედაპირის 1/4-მდე მომწვანო	2-3	85-90
ფორთოხალი	ხილის ზედაპირის 1/4-ზე მეტი მომწვანო	4-6	82-85
	ნარინჯისფერი	1-2	85-90
	ყვითელი	3-4	85-90
ლიმონი	მომწვანო	5-6	82-85
	ყვითელი	2-3	85-90
	ღია ყვითელი ანდა ღია მწვანე	4-5	85-90
გრეიფუტი	ყრუ მწვანე	6-8	82-90
	ყვითელი	3-4	85-90
	ღია ყვითელი	7-10	82-85

ფორთოხლის რეფრიჟერაციას ატარებენ მაცივარ-საკნებში 0,5-1,5°C 21 დღის განმავლობაში, ანდა 0-1°C 16 დღის განმავლობაში.

ფორთოხლის ფუმიგაციას ბრომის მეთოდით ატარებენ სპეციალურ საკნებში. ხილის ტემპერატურის დროს 8°C ქვემოთ და 25°C ზევით ფუმიგაცია ბრომის მეთოდით არაა ნებადართული.

2.1.5. ციტრუსოვანი ხილის საავტომობილო გადაზიდვების

სატრანსპორტო ქვესისტემის ოპტიმიზაციის მათემატიკური მოდელი მარშრუტით „ფერმერული მეურნეობა-რეგიონული აგარული“ ლოგისტიკის ცენტრი

ფერმერული მეურნეობების სატრანსპორტო ქვესისტემა მოიცავს: ტრანსპორტის სახეებს, ტვირთნაკადების სისტემას, საგზაო ქსელს, ტექნიკური მომსახურებისა და რემონტის ბაზას.

ფერმერულ მეურნეობათა ტრანსპორტის სახეები იყოფა: 1. ტექნოლოგიური ტრანსპორტი, რომელიც ემსახურება შიდა სამეურნეო გადაზიდვებს; 2. გარე და შიდა საქარხნო სამრეწველო ტრანსპორტი. ტრანსპორტის გარე სახე ძირითადად წარმოდგენილია საავტომობილო სატვირთო ტრანსპორტით და სარკინიგზო ტრანსპორტის ვაგონებით.


სატრანსპორტო ქვესისტემის ანალიზისა და დაგეგმვის დროს საჭიროა გამოვყოთ მისი ფუნქციონალური დარგობრივი სტრუქტურა: სასაწყობო მეურნეობა პერიფერიული და დამზადებული პუნქტების ქსელი, მექანიზმები და მოწყობილობები, დატვირთვა-განტვირთვის სამუშაოთა შესასრულებლად ტარა, კონტეინერები, პაკეტირების საშუალებები და კონტეინერიზაცია.

სატრანსპორტო საშუალებებმა ღრმად შეაღწიეს ფერმერული მეურნეობების ძირითადი წარმოების სფეროში და ქმნიან ეგრეთწოდებულ სატრანსპორტო-ტექნოლოგიურ (საწარმოო სფეროებს, ისინი ახორციელებენ წარმოებისა და ტრანსპორტის კავშირს და ორგანიზაციული ერთიანობის არ არსებობის დროს სატრანსპორტო ტექნოლოგიური სქემების ჩარჩოებში განაპირობებენ მათ ფუნქციონირებას გადაზიდვების ცალკეული ხაზების სახით.

გადაზიდვების სისტემის სტრუქტურა ფერმერულ მეურნეობებში ნაჩვენებია ნახ. 6. სასოფლო სამეურნეო ნედლეულის მიზიდვის სისტემა ფერმერული მეურნეობებიდან ლოგისტიკის ცენტრებში ძალზედ მრავალგვარია და დამოკიდებულია მრავალ ფაქტორზე. ამიტომ გადამუშავებაზე ნედლეულის მიზიდვის სისტემა მოხერხებულია კლასიფიცირებულ იქნას ალების ხერხებისაგან დამოკიდებულებით, ალების მეთოდისაგან დამოკიდებულია: დატვირთვის მექანიზაციის ხერხი, სატრანსპორტო ტარის სახე.

სასოფლო-სამეურნეო ნედლეულის ალებისა და დამზადების ტექნოლოგიაში მნიშვნელოვან ელემენტს წარმოადგენს პერიფერიული მიმღებ-დამამზადებელი პუნქტი. მათ შექმნას მიზნად აქვს ნედლეულის ნაკადების გათანაბრება „პიკების“ პერიოდში და ზოგიერთი წინატექნოლოგიური ოპერაციების შესრულება. ამ პერიფერიული პუნქტების განხილვა ერთობლივად ალებითი სატრანსპორტო სამუშაოთა ტექნოლოგიურ სქემასთან და გადაზიდვებთან ერთად მოითხოვს

სანედლეულო ზონებისა და პერიფერიული პუნქტების განლაგების რაციონალური ადგილების შერჩევის საკითხის გადაწყვეტას




ნახ. 6. ტვირთების გადაზიდვის სისტემა ფერმერულ მეურნეობებში

სასოფლო-სამეურნეო ნედლეულის ტრანსპორტირების პროცესი წარმოადგენს რთულ საწარმოო-ტექნიკურ კომპლექსს, რომლისთვისაც დამახასიათებელია რთული სისტემების დამახასიათებელი ნიშნების თავისებურებანი. რომლის დროსაც გათვალისწინებულია ყველა მიზეზობრივი კავშირები. ეს მიდგომა გულისხმობს სისტემური ანალიზისა და კომპლექსური მოდელირების მეთოდების შერწყმას.

სისტემური ანალიზის პრინციპების პოზიციებიდან, სატრანსპორტო ქვესისტემის პროექტირებისა და გამოკვლევის პროცესი შეიძლება წარმოვადგინოთ სქემის სახით (ნახ. 7).

ამჟამად ყველაზე მეტი გავრცელება სატრანსპორტო სისტემების გამოკვლევის დროს მიიღეს ეკონომიკურ-მათემატიკურმა მოდელებმა. ისინი ძირითადად დაფუძნებულია წრფივი პროგრამირების სხვადასხვა სახესხვაობებზე (მთელრიცხვიანი, პარამეტრული, სტოქასტიკური).

მოსავლის აღების, სასოფლო-სამეურნეო ნედლეულისა და პროდუქციის ტრანსპორტირებისა და შენახვის პროცესების ანალიზი გვაძლევს საფუძველს დავასკვნათ, რომ სატრანსპორტო ქვესისტემა წარმოადგენს რთულ ტექნიკურ სისტემას ელემენტების ორგანიზებული ერთობლიობით და მუშაობის სტოქასტიკური ხასიათით. ამიტომ ყველაზე გამოსადეგს სატრანსპორტო-საწარმოო სისტემების გამოკვლევისათვის მეთოდს წარმოადგენს იმიტაციური მოდელირება.



ნახ. 7. ფერმერულ მეურნეობაში სატრანსპორტო ქვესისტემის გამოკვლევის პროცესი

ფერმერული მეურნეობების სატრანსპორტო სისტემების მუშაობის ოპტიმიზაცია წარმოადგენს რთულ სამეცნიერო-ტექნიკურ პრობლემას, რომელიც მისი დიდი ზომებისა და სირთულის გამო შეიძლება გადავწყვიტოთ მხოლოდ თანამედროვე ეგმ და გამოთვლითი ტექნიკის აპარატის გამოყენებით.

ფერმერული მეურნეობების სატრანსპორტო სისტემების მუშაობის ოპტიმიზაცია წარმოადგენს რთულ სამეცნიერო-ტექნიკურ პრობლემას, რომელიც მისი დიდი

ზომებისა და სირთულის გამო შეიძლება გადავწყვიტოთ მხოლოდ თანამედროვე ეგმ და გამოთვლითი ტექნიკის აპარატის გამოყენებით.

ძირითად ამოცანებს, რომლებიც გადაჭრილ უნდა იქნან ფერმერული მეურნეობის სატრანსპორტო მომსახურების მუშაობის ოპტიმიზაციის შედეგად მიეკუთვნება შემდეგი:

1. მიმწოდებლებთან მომხმარებლების ოპტიმალური მიმაგრება (გადაზიდვების რაციონალიზაცია);
2. სატრანსპორტო საშუალებათა გამოყენების ოპტიმიზაცია;
3. მარშრუტების მიხედვით სატრანსპორტო საშუალებათა ოპტიმალური განაწილება;
4. პერიფერიული მიმღებ-დამამზადებელი პუნქტების განლაგების ოპტიმიზაცია;
5. სატრანსპორტო ქვესისტემის ოპტიმიზაცია სასოფლო-სამეურნეო ნედლეულის და მზა პროდუქტის გადაზიდვებზე პრინციპების განაწილებით.

ჩვენი კვლევის ამოცანებიდან გამომდინარე განვიხილავთ 4 და 5 ამოცანებს, როგორც ყველაზე მთავარს.

ფერმერულ მეურნეობათა ნედლეულის გადაზიდვების ამოცანების ფორმირების დროს ოპტიმალობის კრიტერიუმების შერჩევა წარმოადგენს ყველაზე მნიშვნელოვან მომენტს. განსახილველი ამოცანა წარმოადგენს მრავალკრიტერიულ და ვექტორულ ფორმაში ჩაიწერება ასე

$$SDS_j^{SL} = \{ \max Q_{\mu}, \max P_{\mu}, \min Z_{\mu}, \max SDS_{\mu}^{\text{მლ}}, \max SDS_{\mu}^{\text{საწ}}, \min N_{\mu}, \min \tau_{ij}^i \}, \quad (4)$$

სადაც $\max Q_{\mu}; \max P_{\mu}; \max P_{\mu}; \max P_{\mu}$ – ტვირთბრუნვისა და სატრანსპორტო მუშაობის მაქსიმუმი; $\min Z_{\mu}, \min C_{\mu}$ – ინტეგრალური და საექსპლუატაციო დანახარჯების მინიმუმი; $\max SDS_{\mu}^{\text{მლ}}; SDS_{\mu}^{\text{მლ}}$ – მაკრო და მიკროლოგისტიკურ ეფექტურობის მაქსიმუმი სატრანსპორტო ქვესისტემისაგან; $\min N_{\mu}, \min \tau_{ij}$ – პროდუქციის გადაზიდვაზე და საავტომობილო გადაზიდვებზე დროის მინიმუმი.

ტრანსპორტის მუშაობის მოდელირების ამოცანა, რომლებიც აკმაყოფილებენ რიგი კრიტერიული ფუნქციის მაქსიმალურ (მინიმალურ) მნიშვნელობებს, წარმოადგენს მრავალკრიტერიული ოპტიმიზაციის ამოცანას. ეს არის მართვის ამოცანა, როდესაც შედეგები დარდება არა უშუალოდ, არამედ ფუნქციების დახმარებით, რომელიც აქ მოცემულია განშლის ვექტორული კოეფიციენტების სიმრავლის შემთხვევაში

$$F = \alpha_1 \Pi_1 + \alpha_2 \Pi_2 + \alpha_3 \Pi_3 + \alpha_4 \Pi_4 + \alpha_5 \Pi_5 + \alpha_6 \Pi_6 + \alpha_7 \Pi_7, \quad (5)$$

არსებობს მრავალკრიტერიალური ამოცანების გადაწყვეტის სამი მიდგომა, რომლებიც დაფუძნებულია; მრავალკრიტერიალურის დაყვანაზე იერარქიული სტრუქტურაზე, ეფექტურ სიმრავლეთა განსაზღვრაზე (პარეტო-ოპტიმალური გადაწყვეტილება). საწარმოს გარე ტრანსპორტის ოპტიმიზაცია წარმოადგენს ფართო კომპლექსურ ამოცანას. რომლის გადაწყვეტისათვის გამოიყენება ოპერაციათა კვლევის მეთოდები.

საწარმოს სატრანსპორტო ქვესისტემების ოპტიმიზაცია, საწარმოს მიზნებისა და ამოცანების თანახმად წყდება ორი მიმართულებით: 1. სასოფლო-სამეურნეო ნედლეულის ქვესისტემა; 2. შხა პროდუქციის გადაზიდვის ქვესისტემა.

სასოფლო-სამეურნეო ქვესისტემის სატრანსპორტო ქვესისტემების მათემატიკური მოდელის გამომავალი პარამეტრები წარმოადგენს მდგომარეობის პარამეტრებს, რომლებიც აფასებენ მის ფუნქციონირებას მათ მიკუთვნება: სატრანსპორტო-ლოგისტიკის სისტემის მუშაობის ერთობლივი მაჩვენებლები: 1. $Q_{ii_1}^{ერო}$, P_{μ_1} ; 3_{μ_1} , $\Pi_{\mu_1}^{მლ}$, $\Pi_{p\mu_1}^{მლ}$, R_{μ_1} ; 2. გადაზიდვების ცალკეული მარშრუტების ღირებულებითი მაჩვენებლები: K_{μ_1} , C_{μ_1} , $C_{\mu_1}^{\alpha}$, K_{μ_1} , C_{ki_1} , $C_{kj_1}^{\delta}$; $K_{ij_1}^{\epsilon}$, $K_{ij_1}^{\delta}$, $C_{ij_1}^{\delta}$; 3. შრომითი რესურსებისა და ხვედრითი შეფასების მაჩვენებლები: $P_{ii_1}^{ბრ}$; $P_{მეჟ}$; $P_{მტვ}$; $P_{მ}$; $P_{მწ}$; $P_{მმ}$; C_{II} ; $3_{მეჟ}$; III ; 4. ტრანსპორტის მოძრავი შემადგენლობის, ამდები შემადგენლობის კონტეინერების რაოდენობისა და მწარმოებლობის მაჩვენებლები: $N_p^{ბრ}$; $r_{ნმ}$; $\Pi_{ტვ}$; $r_{დ}$; $W_{\mu_1}^{მ}$; $W_{\mu_1}^{ლ}$; U_{pg} ; $q_{\mu_1}^{\alpha}$; $q_{\mu_1}^{\epsilon}$; 5. დროითი და გარბენითი მახასიათებლები: $L_{ტვ}^{საერთ.}$; $L_{ტვ}^{საერთ.}$; $L_{ტვ}^{საერთ.}$; $t_{pij}^{ბრ}$; $t_{\mu j_1}^{ბრ}$; n_{lij} ; n_{erj} ; $n_{მერთ}$; t .

ოპტიმიზაციის კრიტერიუმის სახით სატრანსპორტო სისტემის მაკროლოგისტიკურ დონეზე ვიღებთ მოგების მაქსიმუმს, ხოლო წარმოების დონეზე – მიკროლოგისტიკის ეფექტურობის მაქსიმუმს.

ცნობილია: ციტრუსების მოყვანის პუნქტები, დამზადების გეგმები წარმოების ან ციტრუსების მთლიანი დამზადების, ტ; მომხმარებლები-ტვირთმიმღებები საერთაშორისო სასაქონლო ბაზების კლიენტები; ციტრუსოვანთა ხილის მიწოდების გეგმიური მოცულობები მიმართულებების მიხედვით, ავტომობილების, რკინიგზის

მომრავი შემადგენლობის რიცხვი სეზონის პერიოდში, დაშორება მწარმოებელსა და რეალიზაციის ბაზრებს შორის; დანახარჯები გადაზიდვების შესრულებაზე.

საჭიროა ისე მივაწყოთ ციტრუსოვანთა ხილის კრეფა, დამზადება და გადაზიდვები წარმოების განსაზღვრულ სანედლეულო და გადამუშავების ზონაში, რათა განხორციელდეს ავტომობილებისა და ამღები ტექნიკის ოპტიმალური გამოყენება, მომხმარებლების ოპტიმალური მიმაგრება მიმწოდებლებთან და შესრულდეს ციტრუსოვანთა ხილის დასახული მოცულობები დასახული ნომენკლატურით სატრანსპორტო დანახარჯების მინიმიზაციის მიზნით (ინტეგრალური დანახარჯები), პროდუქციის დანაკარგების მინიმიზაცია და მოგების მიღება. ამოცანაში განხილული დროის პერიოდი ტოლია სეზონის ხანგრძლივობის. ვთვლით, რომ ფერმერული მეურნეობები და რეალიზაციის მიზნობრივი ბაზრები სეზონის განმავლობაში მუშაობენ ყოველდღიურად, გამოსასვლელი დღეების გარეშე. მთელი პროდუქცია გააქვთ მაშინვე, მისი კრეფის შემდეგ ტექნოლოგიური რეგლამენტის თანახმად. პროდუქციის შენახვა პერიფერიულ პუნქტებში არ მიიღება მხედველობაში, მაშინ ფორმალიზებული სახით სატრანსპორტო ქვების ტემის ოპტიმალური ფუნქციონირების ამოცანას მთლიანობაში აქვს შემდეგი სახე: ფუნქციონირების პირობების მოცემული პარამეტრების დროს $\bar{X}(t)$ და შუალედური პარამეტრების $\bar{Y}(t)$ დროს შემაშფოთებელი პარამეტრების გათვალისწინებით $\bar{\xi}(t)$ ვიპოვოთ გადაზიდვების ისეთი გეგმა

$$\Pi_{\mu_1} = \{X_{k_1}^y, X_{k_1\mu_1}^y, X_{k_j\mu_1}^\delta, X_{ij\mu_1}^\delta, \bar{X}_{\mu_1}^{\text{დას6}}\}, \quad (6)$$

და ასეთი პარამეტრები $\bar{Y}(t)_{\mu_i}$, სასოფლო სამეურნეო ნედლეულის გადაზიდვების ყველა შესაძლო მარშრუტებზე, რომ ეფექტურობის გლობალური კრიტერიუმის მიზნით ფუნქციებმა მიაღწიონ თავიანთ მაქსიმალურ მნიშვნელობებს. მაკროლოგისტიკის ეფექტურობის მიზნის ფუნქციას აქვს შემდეგი სახე:

$$SPS_{p,ij,i}^{ML} = \max \sum_{j \in n} \sum_{t' \in T'} \sum_{i' \in \theta} \sum_{k \in K} \left\{ \sum_{i=1}^n \frac{X_{k_1 t'} \cdot U_{k_1 t'} + \sum_{\mu \in \xi} \left(\sum_{i \in m} X_{k_1 \mu j t'}^\delta \cdot U_{k_1 \mu j t'}^\delta + \right)}{[(1+i)(1+i)]^i} \right.$$

$$\begin{aligned}
& + \frac{X_{ij\mu_1 t'}^\delta \cdot U_{i_1 \mu_1 t'}^\delta}{[(1+i)(1+i)]^t} \left[\sum_{\tau=0}^n \frac{X_{ki_1 t'} \cdot K_{ki_1 t'} + \sum_{\mu \in \xi} \left(\sum_{i \in m} X_{kj_1 \mu_1 t'} \cdot K_{kj_1 \mu_1 t'} + X_{ij\mu_1 t'}^\varepsilon \cdot K_{ij\mu_1 t'}^\varepsilon + \right. \right. \\
& \left. \left. + \frac{X_{ij\mu_1 t'}^\delta \cdot K_{ij\mu_1 t'}^\delta + X_{kj\mu_1 t'}^\delta \cdot K_{kj\mu_1 t'}^\delta}{[(1+i)(1+i)]^t} \right) \sum_{\mu \in \xi} \left(X_{ij\mu_1 t'}^\varepsilon \cdot C_{ij\mu_1 t'}^\varepsilon + X_{kj\mu_1 t'}^\delta \cdot C_{kj\mu_1 t'}^\delta + \right. \right. \\
& \left. \left. + \frac{X_{j_1 \mu_1 t'} \cdot C_{j_1 \mu_1 t'} + X_{kj\mu_1 t'}^\delta \cdot C_{kj\mu_1 t'}^\delta}{[(1+i)(1+i)]^t} \right) + \sum_{i_1 \in \theta} \sum_{\mu \in \xi} X_{\mu_1}^{\text{დაბ}} \cdot U_{i_1} + \sum_{i_1=1}^r A_i U_i^{\text{ბაზ}} \right]. \quad (7)
\end{aligned}$$

შემდეგი პირობებისა და შეზღუდვების დაცვის დროს:

1. ციტრუსოვანთა ხილის წარმოებასა და მასზე აგრაცენტრების მოთხოვნის დროს

$$\sum_{t' \in T'} \sum_{k \in K} \sum_{i \in \theta} V_{ki_1 t'} = \sum_{t' \in T'} \sum_{j \in \eta} \sum_{i_1 \in \theta} A_{j_1 t' i_1}. \quad (8)$$

2. ციტრუსოვანთა ხილის წარმოებისა და აგრარულ ცენტრში და პერიფერიულ მიმღებ-დამამზადებელ პუნქტში გადაზიდვების ბალანსის შესრულების დროს

$$\sum_{t' \in T'} \sum_{k \in CK} \sum_{\mu \in \xi} \sum_{i_1 \in \theta} \sum_{i_6 \in \theta} \left[\sum_{j \in \eta} X_{kj_1 t'} + \sum_{i \in m} X_{ki_1 \mu_1 t'}^{TT} \right] = V_{ki_1 t'}, \quad (9)$$

$$3. \quad \sum_{k \in K} \sum_{i \in m} X_{ki_1 \mu_1 t'} = \sum_{i \in m} \sum_{j \in \eta} X_{ij\mu_1 t'} \leq P_{i \varepsilon_i}, \quad (10)$$

$$4. \quad \sum_{t' \in T'} \sum_{i_1 \in \theta} \sum_{\mu \in \xi} \sum_{i_6 \in \theta} \left[\sum_{j \in \eta} \left(\sum_{k \in K} \frac{X_{kj\mu_1 t'}^\delta \cdot t_{yki}^\delta}{W_{ki\mu_1}} \right) \right] \leq N_{k\mu}^{TT}. \quad (11)$$

პირობებში (10) და (11) მოითხოვს, რომ მოთხოვნათა სატრანსპორტო საშუალებებში ციტრუსოვანთა ხილის გადაზიდვის განხორციელებისათვის k მეურნეობიდან i -ურ პუნქტში დაგეგმილ მოცულობაში უნდა განხორციელდეს ამ მეურნეობებში ტექნოლოგიური ტრანსპორტის არსებული პარკით.

5. აგრარულ ცენტრში და აგრარულ მეურნეობებში საავტომობილო ტრანსპორტის მოძრავი შემადგენლობის გამოყენების პირობა

$$\sum_{t' \in T'} \sum_{i_1 \in \theta} \sum_{\mu \in \xi} \sum_{i_6 \in \phi} \left[\sum_{j \in n} \left(\sum_{k \in K} \frac{X_{kj\mu 1t'}^\delta \cdot t_{kj\mu 1t'}^\delta}{W_{\mu kj}} + \sum_{i \in m} \frac{X_{kj\mu 4t'}^\varepsilon \cdot t_{ij}^{\varepsilon \delta r}}{W_{\mu kj}} + \sum_{k \in k} \sum_{i \in m} \frac{X_{ki\mu 1t'} \cdot t_{yki}^\delta}{W_{\mu kii1}} \right) \right] \leq$$

$$\leq N_{j\mu'} + N_{k\mu'}^{TT}. \quad (12)$$

6. განწესში საავტომობილო ტრანსპორტის მოძრავი შემადგენლობის ყოფნის ლიმიტური დროის გამოყენების პირობა:

$$\sum_{t' \in T'} \sum_{i_1 \in \theta} \sum_{\mu \in \xi} \sum_{i_6 \in \phi} \left[\sum_{j \in n} \left(\sum_{k \in K} \frac{X_{kj\mu 1t'}^\delta \cdot t_{ykj}^\delta}{q_{\mu kj}^\delta} + \sum_{i \in m} \frac{X_{ij\mu 1t'}^{\varepsilon \delta} \cdot t_{ij}^{\varepsilon \delta}}{W_{\mu kj}} + \sum_{k \in k} \sum_{i \in m} \frac{X_{ki\mu 1t'} \cdot t_{\phi ki}^{ct}}{q_{\mu ki}} \right) \right] \leq$$

$$\leq T_{\mu i1} + T_{\mu k1t'}, \quad (13)$$

7. ციტრუსოვანთა ხილის გადაზიდვისა და აგრარულ ცენტრში დაგეგმილ მოცულობას შორის მოხმარების ბალანსის დაცვის პირობა

$$\sum_{j \in n} \sum_{\mu \in \xi} \sum_{i_1 \in \theta} \left[\sum_{i \in m} \left(X_{ij\mu 1t'}^\varepsilon + \sum_{k \in K} X_{ij\mu 1t'}^\varepsilon \right) + \sum_{k \in K} X_{ij\mu 1t'}^\varepsilon \right] = A_{j1t'}, \quad (14)$$

$$8. \quad \sum_{i \in m} \sum_{\mu \in \xi} \sum_{i_1 \in \theta} \left\{ \sum_{k \in K} X_{kj\mu 1t'} - \left[\sum_{j \in n} \left(X_{ij\mu 1t'}^\varepsilon + X_{ij\mu 1t'}^\delta \right) \right] \right\} \leq 0, \quad (15)$$

ციტრუსოვანთა ხილის მოკრეფის ნებისმიერ პერიოდში, ნედლეულის მთელი მოცულობა, რომელიც შემოსულია პერიფერიულ პუნქტებზე გამოზიდულ უნდა იყოს.

9. შრომითი რესურსების გამოყენების პირობა

$$\sum_{t' \in T'} \sum_{i_1 \in \theta} \sum_{\mu \in \xi} \sum_{r \in P} \left[\sum_{j \in n} \left(\sum_{k \in K} X_{kj\mu 1r'} \cdot U_{kj\mu 1r'} + \sum_{i \in m} X_{ij\mu 1r'}^\varepsilon \cdot U_{ij\mu 1r'}^\varepsilon + \right. \right.$$

$$\left. \left. + \sum_{i \in m} X_{ij\mu 1r'}^\delta \cdot U_{ij\mu 1r'}^\varepsilon \right) + \sum_{k \in K} \sum_{i \in m} X_{ki\mu 1r'} \cdot U_{ki\mu 1r'} \right] \leq U_{j\mu 1r'} + U_{k\mu 1r'}, \quad (16)$$

სადაც r – შრომითი რესურსების სიმრავლის ინდექსია, $r \in R$; $U_{ij\mu 1r'}$, $U_{ki\mu 1r'}$, $U_{kj\mu 1r'} - r$ სახის შრომითი რესურსების ნორმებია ოპერაციების შესასრულებლად

გადაზიდვების მარშრუტზე; $U_{i\mu t'}$, $U_{k\mu t'}$ – შრომითი რესურსების არსებობა j - ურ აგრარულ ცენტრში და მეურნეობებში, ციტრუსოვანთა ხილის გადაზიდვების მომსახურებისათვის;

10. არაუარყოფითობის და მთელრიცხვიანობის პირობა:

$$\left. \begin{aligned} & (X_{ki\mu t'}, X_{ki t'}, X_{kj\mu t'}^\delta, X_{ij\mu t'}^\varepsilon, X_{ij\mu t'}^\delta, \bar{X}_{ij\mu t'}^{\delta\alpha 6}) \geq 0. \\ & \forall t' \in T', i_1 \in \theta; i \in m; j \in n, \mu \in \xi, k \in K; u \in U, i_6 \in \theta. \end{aligned} \right\} \quad (17)$$

მათემატიკური მოდელის (6.17) გადაწყვეტა წარმოებს მისი დეკომპოზიციის გზით ცალკეულ ბლოკებად. განიხილება მათემატიკური მოდელები გადაზიდვების ცალკეული მარშრუტების მიხედვით, დამოუკიდებლად წყდება ამოცანა უტარო და კონტეინერული გადაზიდვებისათვის. ამოცანის გადაწყვეტის პროცესი გულისხმობს ადამიანისა და ეგმ-ის ურთიერთქმედებას. ძირითადი მეთოდური პრინციპი ამ გადაზიდვების მოდელირებისა და გადაზიდვების ანგარიშებისათვის მოყვანილია ცალკე ლიტერატურაში.

მოდელირებას ვატარებთ ნედლეულის გადაზიდვების სქემის მიხედვით კომპლექსში. ანგარიშს ვასრულებთ ეგმ-ზე გამოყენებით პროგრამული პაკეტით.

2.1.6. ციტრუსების ინტერმოდალური გამსხვილებული სატრანსპორტო ერთეულის ფორმირება და მისი პარამეტრების შერჩევა: პაკეტის მექანიზირებული ფორმირების ტექნიკა და ტექნოლოგია

ციტრუსების პაკეტური გადაზიდვების არსი მდგომარეობს იმაში, რომ განსაზღვრულ მოცულობაში მოთავსებული ნაყოფი გადააქვთ და გადაიტვირთება არა ცალკეული ადგილებით (ყუთებით, ტომრებით), არამედ გამსხვილებულ სატრანსპორტო-სასაწყობო სატვირთო ერთეულების სახით, რომელიც მოიცავს რამოდენიმე სატვირთო საცალო ადგილს.

პაკეტი – ეს არის გამსხვილებული სატრანსპორტო ერთეული, რომლებიც ფორმირებულია ტვირთების რამოდენიმე ცალკეული სატვირთო ადგილისაგან

პაკეტების საშუალებების გამოყენებით და გადატვირთულია, როგორც ერთიანი მთელი. პაკეტში ტვირთების რიცხვი შეიძლება იყოს რამოდენიმე ათეული.

პაკეტების საშუალებებს, რომლებიც ემსახურებიან პაკეტების ფორმისა და მათი მდგრადობის შენარჩუნებას გადატვირთვებისა და ტრანსპორტირების დროს, მიეკუთვნება სხვადასხვა კონსტრუქციის პაკეტები, მრავალსაბრუნავი ზონარები, ლითონის ან პლასტმასის ლენტები, თერმოდასაჯდომი აფსკი სხვადასხვა მოწყობილობებით.

საძირების კლასიფიკაცია წარმოებს შემდეგი ნიშნების მიხედვით: კონსტრუქციის მიხედვით (ბრტყელი, დვარისებური, ყუთის მაგვარი); საფენების მიხედვით (ერთსაფენიანი, ორსაფენიანი); შემოსავლების რიცხვის მიხედვით – ორშესავლიანი, ოთხშესავლიანი; საძირის მასალის მიხედვით (ხის, ლითონის პლასტმასების, კომპოზიციები – რამოდენიმე სახის მასალისაგან).

ციტრუსების როგორც ქვეყნიშიდა, ისე საექსპორტო გზავნილებათა ტრანსპორტირებისათვის სტანდარტული ხის ყუთი, რომლის გარეთა პერიმეტრზე გათვალისწინებულია ღრეჩო აერაციისათვის, ყუთის გაბარიტული ზომები $a, \beta, \gamma, q = [580; 380; 126]$ მმ. ყუთის ტევადობა $q = 20$ კგ. დღეისათვის მსოფლიოში ყველა ლოგისტიკის ობიექტებში ტვირთგადამუშავებისა და სასაწყობო პროცესებში, განსაკუთრებით კი საგარეო ვაჭრობის გადაზიდვებზე, ფართოდ გამოიყენება საერთაშორისო მოდელი 400×600 მმ, რომლის დანერგვა სატრანსპორტო-ლოგისტიკურ ბიზნესში საშუალებას იძლევა უნიფიცირებულ იქნას ლოგისტიკური პროცესები შემდეგი სტანდარტული ბრტყელი საძირების გამოყენებით. მათი ზომებია 1200×800 მმ და 1200×1000 მმ.

ორივე საძირის გამოყენებით მიღებული პაკეტის სიმაღლე საერთაშორისო სტანდარტებით იმყოფება საზღვრებში: $\beta = 800 \div 1300$ მმ; საძირის სიმაღლე $b = 120 \div 150$ მმ. ამ პარამეტრის გათვალისწინებით პაკეტის სიმაღლე აღმოჩნდება საზღვრებში 1450 მმ. $C + b = 920 \div 1450$ მმ.

თითოეული საძირის გამოყენება გვაძლევს შემდეგ მაჩვენებლებს:


1. საძირე ზომით $a \times b = 1200 \times 800$ მმ.

საძირის გეგმა პროფილში ყუთების განლაგებით და მისი გამოყენებით მიღებული პაკეტი გაბარიტული ზომებით ნაჩვენებია ნახ. 8 ა) და ბ).


საძირის ფართი $F=0,96 \text{ მ}^2$; დაკავებული $D_{დაკ}=0,88 \text{ მ}^2$ ფართის გამოყენების კოეფიციენტი $K_s=0,92$, შრეთა რიცხვი პაკეტში $N_p=8$; $N_y=32$.

პაკეტში ვაგონის სიმაღლის და მექანიზაციის საშუალებების ელექტროდამტვირთავების ტვირთამწეობის და გაბარიტული ზომების გათვალისწინებით მიღებულია $N_p=8$, მაშინ პაკეტის მახასიათებელი პარამეტრები იქნება პაკეტის პარამეტრები ჩაიწერება ასე $[a, b, c, G]=[1,16; 0,76; 1,01; 0,64]$ ყუთების რაოდენობა $N_y=8 \cdot 4=32$. ციტრუსების მასა პაკეტში

$$[G]_p = 32 \cdot 20 = 0,64 \text{ t.}$$



1)



2)


ნახ. 8. 1) საძირის გეგმა პროფილში ყუთების განლაგებით;
2) მზა შეკრული პაკეტი

2. საძირე ზომებით $axb=1200 \times 1000 \text{ მმ}$.

საძირის გეგმა პროფილში ყუთების განლაგებით და მიღებული მზა პაკეტი მოყვანილია ნახ. 9, ა, ბ; საძირის ფართი $F_p=1,2 \text{ მ}^2$; $F_{დაკ}=1,1 \text{ მ}^2$. კოეფიციენტი $K_s=0,92$. ყუთების რაოდენობა ერთ შრეში $N_y=8 \cdot 5=40$. შრეთა რაოდენობა $N_p=8$. პაკეტის მასა $[G]_p = 40 \cdot 20 = 800 \text{ კგ} \approx 0,8 \text{ ტონა}$, მაშინ პაკეტის პარამეტრები ჩაიწერება ასე: $[a, b, c, G]=[1,14; 0,96; 1; 0,8]$.

ერთ რეგიონულ აგრარულ ცენტრში ციტრუსოვანი ხილით ფორმირებული პაკეტების ტრანსპორტირებისათვის ექსპორტში მზა პროდუქციის საწყობში იქმნება სპეციალური დასატვირთი ტექნოლოგიური დატვირთვის უბნები, რომლებიც აღჭურვილია მოწყობილობებით, ნაგებობებით და მოწყობილობებით. ეს

მოწყობილობები შეესაბამებიან შესაბამისი სახის ტრანსპორტს, ამ უზნების მოწყობილობებს, სამუშაოთა ტექნოლოგიასა და დატვირთვა-განტვირთვის უზნების ტექნიკური აღჭურვილობას, დამოკიდებულია გადასამუშავებელი ტვირთის სახეზე, ტრანსპორტის ტიპზე და სხვა ფაქტორებზე.




ნახ. 9. ა) საძირის გეგმა პროფილში ყუთების განლაგებით;
ბ) მზა შეკრული პაკეტი.

იმის გამო, რომ ციტრუსების ექსპორტირება წარმოებს აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებში და რუსეთის ფედერაციაში, თავისი მოძრაობის გზაზე პროდუქციის ინტერმოდალური გადაზიდვა ითვალისწინებს ტვირთის ტრანსპორტირებას რამოდენიმე სახის ტრანსპორტით და გადატვირთვით ვირჩევთ საექსპორტო ტვირთების ტრანსპორტირებისათვის ტრანსპორტის საიმედო სახეს. უნივერსალურ დახურულ ოთხღერძიან სარკინიგზო ვაგონებს ($G = 64$ ტ; $V_y = 106$) მ და განსაკუთრებულ შემთხვევაში რეფრიჟერატორულ ვაგონებს (ავტონომიურს ანდა სექციების სახით – ოთხ სატვირთო ვაგონს და ერთ მოტორულ ვაგონს) და ვაგონთერმოსებში დახურული ვაგონების სქემა გაბარიტული ზომებით.

ჩატარებული იქნა სარკინიგზო ტრანსპორტის შერჩეული მოძრავი შემადგენლობისა და მიღებული სატვირთო ერთეულის გამოყენებით მოძრავ შემადგენლობაში სატვირთო პაკეტების განლაგების შეთანწყობის ვარიანტები და დადგენილ იქნა მოძრავი შემადგენლობის ტექნიკურ საექსპლუატაციო მახასიათებლები. სატვირთო ვაგონში პაკეტების განლაგების შემთხვევაში ორივე ვარიანტის შემთხვევაში მოყვანილია ნახ. 10, ა,ბ. სარკინიგზო ტრანსპორტის მოძრავი

შემადგენლობის ტექნიკურ-საექსპლუატაციო მაჩვენებლები ციტრუსების №1 და №2 პაკეტის გამოყენების დროს.



ნახ. 10. დახურული ვაგონი ცალობითი ტვირთების გადასაზიდად; უნივერსალური დახურული ვაგონი ტვირთამწეობით $G_3 \in G_p$ შიგა მოცულობით $V_{შ}=106 \text{ მ}^3$

როგორც ა) და ბ) სქემიდან ჩანს, რომ 1200X1000 მმ საძირის გამოყენების დროს ამ ზომის პაკეტების გამოყენების შემთხვევაში ხასიათდება შემდეგი უპირატესობებით. ვაგონებში პაკეტების რაოდენობა $n_{პაკ}=50$ ცალს, ხოლო ციტრუსის მასა ვაგონში $G_{\mu}^{პბ} = 40$ ტ. მოძრავი შემადგენლობის მოცულობის გამოყენების კოეფიციენტი $K_{გ}=0,081$, ხოლო ფართის გამოყენების კოეფიციენტი K_s ორივე შემთხვევაში ტოლია $K_{s1}=K_{s2}=0,92$.

ა)

1	2	3	4	5	6	25	7	8	9	10	11	12
13	14	15	16	17	18		19	20	21	22	23	24

$N_{გაკ}=50 \quad G_{გაკ}=50 \cdot 0,8=40 \text{ ტ}; \quad [a, b, c, G] = [1,14; 0,8; 1,08; 0,8].$

$H_{შგ}=2 \cdot 26\text{მ}; \quad V_{\mu_1}=106 \text{ მ}^3; \quad K_s=0,92; \quad K_v=0,81.$

ბ)

1	2	3	4	5	6	7	29	8	9	10	11	12	13	14
15	16	17	18	19	20	21		22	23	24	25	26	27	29

$$N_{\text{პაგ}}=60 \quad G_{\text{გაგ}}=60 \cdot 0,64=38,4 \text{ ტ}; \quad H_{\text{შტ}}=2 \cdot 26; \quad K_s=0,92$$

$$R_{v2}=0,822 \quad [a, b, c, G]_p = [1,16; 0,76; 1,01; 0,64].$$

სარკინიგზო ტრანსპორტით ციტრუსების საექსპორტო გადაზიდვების ეფექტურობის ხვედრითი მაჩვენებლები საბორნე სატრანსპორტო-ტექნოლოგიური სისტემის გამოყენებით მოყვანილია 2 ცხრილში.

ცხრილი 2

სარკინიგზო ტრანსპორტით ციტრუსების საექსპორტო გადაზიდვების ეფექტურობის ხვედრითი მაჩვენებლები


სადირის ნომერი	პაკეტის ზომები			პაკეტის შრეში ყუთების რაოდენობა	ციტრუსის მასა პაკეტში	სადირის ფართის გამოყენების კოეფ.	დახურული სარკინიგზო ვაგონი ტვირთამწეობით $G=64$ და $V_v=106 \text{ მ}^3$			
	a	b	c				ვაგონის სტატუსური დატვირთვა	პაკეტების რაოდენობა ვაგონში	ვაგონის მოცულობის გამოყ. კოეფ.	ერთი ტონა ტვირთის გადაზიდვის ღირებულება ლ/ტ
1	1200	800	1010	4	640 კგ	0,92	38,4	60	0,81	70,4 ლ/ტ
2	1200	1000	1010	5	800 კგ	0,92	40,0	48	0,82	67,5 ლ/ტ

პაკეტმაფორმირებელი მანქანის მოწყობილობის სქემა ტვირთების შრეების ჰორიზონტალური ფორმირებით ნაჩვენებია ნახ. 11.

1. ტვირთების მიმწოდი კონვეიერი; 2. მაორიენტირებელი მოწყობილობა; 3. შრეების ფორმირების მექანიზმები; 4. შრეების მახიმგებელი; 5. მიმმართველი მაგიდა; 6. მზა პაკეტების გამცემი კონვეიერი; 7. კორპუსი (ლითონკონსტრუქცია); 8. ცარიელი სადირეების მაღაზია; 9. მუშა მექანიზმი; 10. ცარიელი სადირეების მიმწოლი სადირე; 11. ასაწევი მაგიდა/დამადაბლებელი.

პაკეტმაფორმირებელ მანქანებში ხელით და ნახევრადავტომატური მართვით ტვირთების შრეთა ფორმირება სრულდება ოპერატორების დიდი ანდა მცირე მონაწილეობით, რომლებიც ემსახურებიან მანქანას. ასეთი მანქანის მწარმოებლობა ნაკლებია, მაგრამ მართვის სისტემა მნიშვნელოვნად მარტივი და იაფია.


პაკეტმაფორმირებელი ავტომატები (პმა) საძირეებზე ტვირთების ზედა დაწყოებით წარმოადგენს გადამტვირთავ მანიპულაციებსა და რობოტის დაყენების ხერხის მიხედვით ისინი შეიძლება იყვნენ იატაკის ანდა ჩამოსაკიდებელი (იხ. ნახ. 12).



ნახ. 11. პაკეტმაფორმირებელი მანქანა ტვირთების შრის ჰორიზონტალური ფორმირებით

ტვირთების კომპლექტაციის და გასაგზავნად მომზადებისას საწყოებში გამოიყენება შემფუთი მოწყობილობები. ავტომატური მანქანების მწარმოებლობა შეადგენს 20 პაკ/სთ.


დამუშავებულია ლენტისმაგვარი ნახევრადავტომატი ყუთებისათვის ზომებით 500 მმ მწარმოებლობით 500÷700 ცალი; ნახევრადავტომატის ზომებია – 2100X490X1280 მმ.



ნახ. 12. პაკეტმაფორმირებელი ავტომატები (გადამტვირთავი რობოტები)-იატაკის ვერსანტრანის ტიპის (ა) და ჩამოსაკიდებელი ერთრელსიანი (ბ)

1.ტვირთების მიმწოდვიკონვეიერი; 2.გადასატვირთი ტვირთები; 3.გადამტვირთავი რობოტი; 4. ფორმირებადი სატრანსპორტო პაკეტი; 5.ბრტყელი ხის საძირე; 6.კონვეიერი მზა პაკეტების ტრანსპორტირებისათვის; 7. საყრდენი სვეტები; 8.სავალი ძელი.

ლოგისტიკის სისტემებში პროცესების კომპლექსური მექანიზაციის და ავტომატიზაციისათვის გამოიყენება ორი კონსოლიდაცია. კონსოლიდაციის პირველი საფეხური – ეს არის პაკეტიზაცია, მეორე კონსოლიდაცია ეს არის – კონტეინერიზაცია. მზა პაკეტების ჩატვირთვა მსხვილტონაჟიან კონტეინერებში.



ნახ.13. სატრანსპორტო პაკეტების განთავსება სტანდარტულ საძირეებზე 1200X800 მმ ანდა 1200 X1000 მმ მსხვილტონაჟიან კონტეინერებში მასით 20ტ (ა) და 30ტ (ბ) ხელი ზემოდან და განიკვეთის ჭრილი AA (გ).

მსხვილტონაჟიან კონტეინერებში მასით ბრუტო 20ტ (20 ფუტიანი) ერთ იარუსად ტვირთავენ 9 სატრანსპორტო პაკეტს სტანდარტულ საძირეებზე 1200X80 ანდა 1200X1000 მმ და ორ იარუსით 18 პაკეტს (ნახ. 13, ა), ხოლო კონტეინერში მასით 30ტ (40 ფუტიანი) – 19 პაკეტ ერთ იარუსად და 28 პაკეტ-ორ იარუსად. მსხვილტონაჟიან კონტეინერებში მასით ბრუტო 20ტ (20 ფუტიანი) ერთ იარუსად ტვირთავენ 9 სატრანსპორტო პაკეტს სტანდარტულ საძირეებზე 1200X80 ანდა 1200X1000 მმ და ორ იარუსით 18 პაკეტს (ნახ. 13, ა), ხოლო კონტეინერში მასით 30ტ (40 ფუტიანი) – 19 პაკეტ ერთ იარუსად და 28 პაკეტურ იარუსად.

2.1.7. საექსპორტო ციტრუსოვანი ხილის ინტერმოდალური

გადაზიდვების პროექტების ორგანიზაციულ-ტექნოლოგიური

სტრუქტურა

ინტერმოდალური გადაზიდვების ფუნქციონირების ორგანიზაციული მექანიზმი ილუსტრირებას უკეთებს საექსპორტო ტვირთების გლობალურ მიწოდებათა ჯაჭვის ურთიერთქმედებას (აგრარული მეურნეობები, საავტომობილო ტრანსპორტი, აგრარული ცენტრი, გამგზავნი პორტი, სარკინიგზო და საზღვაო ტრანსპორტო. საბორნე გადასასვლელი, დანიშნულების პორტი, სარკინიგზო ტრანსპორტი, გამანაწილებელი ცენტრი (ტერმინალი) საავტომობილო ტრანსპორტი, დანიშნულების პუნქტი).

მიწოდებათა სისტემის, როგორც რთული სტრუქტურის მიზანია, ოპტიმალურად ფუნქციონირებადი ციტრუსების მიწოდებათა სისტემის შექმნისა და განვითარების სამეცნიერო ტექნიკური მეთოდოლოგიის დამუშავება. აქედან გამომდინარე შერჩეული იქნა სისტემის ოპტიმიზაციის მოდელის ტიპი.

მათემატიკური მოდელის შესადგენად შემოგვაქვს შემდეგი აღნიშვნები: ციტრუსების დამამზადებელი ფერმერული მეურნეობის ინდექსი – $(k \in K)$; პერიფერიული მიმღებ დამამზადებელი პუნქტების – $(i \in m)$; რეგიონული ლოგისტიკის აგრარული ცენტრის $(j \in n)$ ციტრუსების მიღებისა და დამუშავების ტექნოლოგიური საამქროს $(j_1 \in G_1)$; დახარისხებული ციტრუსების დროებითი

შენახვის მაცივარ-საწყობის ($j_2 \in G_2$); ტარისა და მატერიალური საწყობის – ($j_3 \in G_3$) დაკონსერვების ტექნოლოგიური საამქროს ინდექსი ($j_4 \in G_4$); შეფუთვისა და კონსოლიდაციის საწყობის ($j_5 \in G_5$); მზა პროდუქციის გაცემისა და სარკინიგზო სატვირთო ფრონტის ინდექსი ($j_8 \in G_8$); საავტომობილო ტრანსპორტის მოძრავი შემადგენლობის ინდექსის ($\mu \in \xi$); – სარკინიგზო ტრანსპორტის მოძრავი შემადგენლობის ($\mu_1 \in \xi_1$), მზა პროდუქციის დროებითი შენახვის საწყობის ($j_6 \in G_6$); i_1 – მოკრეფილი ციტრუსების სახეთა ($i_1 \in \theta$); დახარისხებული ციტრუსების სახეთა ($i_2 \in I_2$); უკონდიციო ციტრუსების ნედლეულის სახეთა – ($i_3 \in I_3$); დაკონსერვებული ციტრუსების ნედლეულის სახეთა ($i_4 \in I_4$); საძირეებისა და პაკეტირების საშუალებათა მოწყობილობების ($p \in P$), გამოყენებული სატრანსპორტო ტარის სახეების ($\delta \in \Delta$); დიდტონაჟიანი (20' და 40') უნივერსალური კონტეინერების ტიპების ($\varepsilon \in E$).

მიწოდებათა სისტემის ლოგისტიკის ქვესისტემებში პროცესების ეფექტურობის შეფასებისათვის და რამოდენიმე ალტერნატიული ვარიანტიდან ოპტიმალურის შერჩევისათვის დამუშავებული იქნა ოპტიმალობის კრიტერიუმების კომბინირებული გამოყენების სისტემა.

შერჩეული ოპტიმიზაციის კრიტერიუმებისა და მატერიალური ნაკადის მოძრაობის ლოგისტიკის მიმართულების გათვალისწინებით დამუშავებულ იქნა ციტრუსების ინტერმოდალური სისტემის ოპტიმიზაციის განზოგადოებული მათემატიკური მოდელი შემდეგი შეზღუდვების და პირობების გათვალისწინებით: 1. ციტრუსების წარმოებასა და აგრარულ ცენტრში მოთხოვნას შორის საბალანსო პირობები; 2. მზა პროდუქციაზე მოთხოვნის დაკმაყოფილების პირობა; 3. ნავმისადგომების ფაქტიური გამშვებუნარიანობის დაბალანსების პირობა; 4. ტრანსპორტის მოძრავი შემადგენლობის გამოყენების პირობა; 5. საძირეებისა და პაკეტირების საშუალებათა გამოყენების პირობა; 6. ცვლადების მთელირიცხვიანობის და დადებითობის პირობა.

დამუშავებულ იქნა საერთაშორისო სასაქონლო ბაზრებზე ლოგისტიკის ჯაჭვის სქემებისა და მომსახურებაზე დანახარჯების ოპტიმიზაციის ალგორითმი Incoterms-2010 ტერმინების გამოყენებით.

მიწოდებათა საბაზისო პირობების ტერმინებისა და ციტრუსების საექსპორტო ტვირთების ინტერმოდალური გადაზიდვების მიწოდებათა ურთიერთქმედების სქემა

შემდეგი სახით: ცენტრალური კომპანია (EXW) – სარკინიგზო გადაზიდვა (FCA) – გადატვირთვის პორტი. ინტერმოდალური ოპერატორი (FCA/FOB) – საზღვაო (საბორნე) ტრანსპორტირება – დანიშნულების პორტი (გადატვირთვა სარკინიგზო ტრანსპორტზე (CFR/CIF) – სარკინიგზო მიზიდვა-დანიშნულების ტერმინალი (DAT) – საავტომობილო ტრანსპორტი – ტვირთმიმღები, დანიშნულების პუნქტი (DDP/DAP). ჩატარებულია ლოგისტიკა, რეგიონული ლოგისტიკა და მიწოდებათა სისტემების სტრუქტურულ-ფუნქციონალური გამოკვლევა და დამუშავებულია საერთაშორისო ბაზრებზე საექსპორტო ციტრუსების ინტერმოდალური მიწოდებათა სისტემის ოპტიმიზაციის მათემატიკური მოდელირების მეთოდოლოგიური საფუძვლები.

საექსპორტო პროდუქციის მიწოდებათა ინტერმოდალური სისტემის და ოპტიმიზაციის მეთოდების საფუძველზე დამუშავებულ იქნა მისი, როგორც რთული სისტემის დაგეგმვისა და მართვის იმიტაციური მოდელის აგების მეთოდოლოგიური საფუძვლები. დამუშავებულია მისი ლოგიკური და გამსხვილებილი ბლოკ-სქემები.

პარამეტრების სისტემატიზაციისა და დაჯგუფების საფუძველზე ჩატარებული მიწოდებათა ინტერმოდალური სისტემების სისტემური გამოკვლევა, აგებულია მისი სტრუქტურულ-პარამეტრული მოდელი და შემოთავაზებულია გამსხვილებული ბლოკ-სქემა. ჩატარებულია შემაჯავალი და გამომავალი პარამეტრების კლასიფიკაცია. დამუშავებული საბაზრო ლოგისტიკური ქვესისტემების ფუნქციონალური პარამეტრების კლასიფიკაცია.

სუბტროპიკული საექსპორტო კულტურების ინტერმოდალური მიწოდებათა სისტემების დეკომპოზირებულ იქნას შემდეგ საკვლევ ქვესისტემებად.

1. ფერმერული აგრარული მეურნეობები ($EXW, K \in k$) – პერიფერიული მიმღებ-დამამზადებელი პუნქტი ($j \in m$), რეგიონული ლოგისტიკის აგრარული ცენტრი ($j \in n$) (EXW). ციტრუსოვანთა ნაყოფის საავტომობილო გადაზიდვების ოპტიმიზაცია მარშრუტით „აგრარული მეურნეობები – ლოგისტიკის აგრარული ცენტრი“;
2. რეგიონული ლოგისტიკის აგრარული ცენტრების სტრუქტურულ-ფუნქციონალური და ტექნიკური აღჭურვილობის ოპტიმიზაცია ($j \in n; j_1 \in G_1; j_2 \in G_2; j_3 \in G_3; j_4 \in G_4; j_5 \in G_5; j_8 \in G_8; \mu \in \xi; \mu_1 \in \xi_2; FCA/FOB$);
3. საერთაშორისო ბაზრებზე საექსპორტო ციტრუსების ინტერმოდალური მიწოდებათა სისტემის სატრანსპორტო ქვესისტემის ოპტიმიზაციის მათემატიკური მოდელი (FCA/FAS; FCA, CFR/CEF);

4. პროდუქციის სარკინიგზო პაკეტური გადაზიდვების სატრანსპორტო ქვესისტემის ოპტიმიზაციისა და დაგეგმვის მათემატიკური მოდელი (FCA, FCA/FOB, CFR/CEF, DAR)
5. ციტრუსების საექსპორტო მიწოდებათა საავტომობილო გადაზიდვების ოპტიმიზაციის მარშრუტის „დანიშნულების ტერმინალი-დანიშნულების პუნქტი“ DAT, DAP, DPP; დანიშნულების ტერმინალი-დანიშნულების პუნქტი; გადაზიდვების ოპტიმიზაციის მათემატიკური მოდელი.
6. საერთაშორისო სასაქონლო ბაზრებზე ციტრუსების მიწოდების ქვესისტემების ეკონომიკური ეფექტურობის განსაზღვრის საფუძვლები. სატრანსპორტო-საექსპედიციო ოპერატორული კომპანიების ეფექტურობის განსაზღვრის მეთოდოლოგია და ძირითადი ტექნიკურ-ეკონომიკური მაჩვენებლები.

ოპტიმიზაციის კრიტერიუმის შესაბამისად დამუშავდა: მათემატიკური მოდელების ფორმალიზაცია, პარამეტრების გამოკვლევა და ოპტიმიზაციის ალგორითმების ბლოკ-სქემები. ოპტიმიზაციის დამუშავებული პროცედურების შესაბამისად მოხდა პარამეტრების ოპტიმიზაცია და საკვლევი პარამეტრის სიდიდის გამოყოფა მოხდა ალბათობის სანდო დონეზე $P = 0,95$.

საერთაშორისო ბაზრებზე საექსპორტო ტვირთების გადაზიდვის დროს ყველაზე ეფექტურ თანამედროვე სისტემად მიჩნეულია გადაზიდვების შერეული ინტერ (მულტი) მოდალური სისტემები.

ინტერმოდალური სისტემა წარმოადგენს ტრანსპორტირების

რთულ ვარიანტს, განსაკუთრებით საერთაშორისო მიმოსვლებში მოზიდვის კომერციულ-სამართლებრივი, საფინანსო ეკონომიკური, ორგანიზაციულ ტექნოლოგიური ასპექტებისა და სატრანსპორტო ინფრასტრუქტურის განვითარების საკითხების გადაწყვეტის თვალსაზრისით.

ინტერმოდალური გადაზიდვების ფუნქციონირების მექანიზმის სახით ვიხილავთ ასეთი გადაზიდვების ორგანიზაციის ტექნოლოგიური პროცესის აგების მოდელს. მოყვანილი მოდელი ილუსტრირებას უკეთებს საექსპორტო ტვირთების ინტერმოდალური გადაზიდვების მონაწილეთა ურთიერთქმედებას.

საექსპორტო პროდუქციის მიწოდებათა ჯაჭვების ფუნქციონირების არსებული მონაცემების საფუძველზე შეიძლება ავაგოთ ინტერმოდალური გადაზიდვების ფუნქციონირების ორგანიზაციული მექანიზმი.

მოცემული ანალიზი საშუალებას იძლევა ინტერმოდალური გადაზიდვების ფუნქციონირების მექანიზმი წარმოვიდგინოთ სქემის სახით, რომელიც ილუსტრირებას უკეთებს საექსპორტო ტვირთებს ინტერმოდალური გადაზიდვების მონაწილეთა ურთიერთქმედებას (ნახ. 14).

ამ მოდელის ჩარჩოებში ციტრუსების მიზიდვა პროდუქციის წარმოების ადგილიდან უცხოელი მიმღების (განტვირთვის) ადგილამდე წარმოდგენილია ინტერმოდალური გადაზიდვების ცხრა ძირითადი ტექნოლოგიური ეტაპის სახით. ტექნოლოგიური ეტაპები დამუშავებულია Incoterms-2010- ის საფუძველზე [23]: ციტრუსების დამზადება, მისი დატვირთვა საავტომობილო ტრანსპორტის მოძრავ შემადგენლობაზე და მიწოდება j - ურ აგრარულ ცენტრში გადასამუშავებლად და ექსპორტში მისაწოდებლად;

1. ციტრუსების კონსოლიდირებული სატვირთო ერთეულების ფორმირება და პროდუქციის გადატვირთვა სარკინიგზო ვაგონებში საბორნე გადასასვლელზე მათი შემდგომი გადატვირთვის მიზნით;

2. პროდუქციის მიზიდვა რკინიგზით აგრარული ცენტრიდან საპორტო გადამტვირთ კომპლექსამდე;

3. პაკეტებით დატვირთული სარკინიგზო ვაგონების გადატვირთვა საბორნე გადასასვლელზე და მისი დაყენება გემბანის ლიანდაგზე სამანევრო ლოკომოტივით;

4. კონსოლიდირებული სატვირთო ვაგონების ტრანსპორტირება საბორნე გადასასვლელიდან მიმღებ პორტამდე;

5. დატვირთული რკინიგზის ვაგონების გადატვირთვა მიმღებ პორტში საბორნე გადასასვლელიდან სარკინიგზო ტრანსპორტამდე და მისი ჩართვა ინტერმოდალურ გადაზიდვებში;

6. ტვირთების გადაზიდვა სარკინიგზო მიმღები ტრანსპორტიდან დანიშნულების ტერმინალამდე;

7. ტვირთების მიღება გამანაწილებელ ცენტრში, შეკვეთების კომპლექტაცია და მომხმარებლისათვის გადატვირთვა საავტომობილო პაკეტური კონტეინერული გადაზიდვების;


8. ტვირთების მიზიდვა საავტომობილო ტრანსპორტით პაკეტური ხერხიდან გამანაწილებელი ცენტრიდან დანიშნულების პუნქტამდე DAP.

ინტერმოდალური გადაზიდვების მოდელის თითოეული ეტაპი ახასიათებს მიზიდვის ტექნოლოგიური პროცესის განმსაზღვრელ ფაზას, გარდა ამისა მოცემულია შეზღუდვების ნაკრები, რომელიც მოქმედებს შესაბამის ეტაპზე და მოდელისათვის საერთოდ მოყვანილი ცხრა ეტაპიდან ოთხი სრულდება შიდა, ხოლო ხუთი გარე საერთაშორისო ბაზარზე.


სატრანსპორტო სამუშაოთა ორგანიზებას აწარმოებს შერეული გადაზიდვების პირველი ოპერატორი. ინტერმოდალური გადაზიდვების პირველი ოპერატორის როლში გამოდის პორტში ორგანიზებული დამოუკიდებელი რეგიონული ლოგისტიკის ცენტრი.

პროცესის ორგანიზაციისათვის შერეული გადაზიდვის ოპერატორი ურთიერთქმედებაშია:

- მიმწოდებლებთან;
- ტვირთგამგზავნებთან;
- სარკინიგზო, საავტომობილო და საჰაერო ტრანსპორტთან;
- გადამტვირთ კომპლექსთან;
- საზღვარგარეთის სარკინიგზო და საბაჟო-ტერმინალურ გადამზიდვებთან;
- უცხოეთში გამანაწილებელ ცენტრებთან;
- ტვირთმიმღებთან ან მის აგენტებთან გამანაწილებელ ცენტრში.



ნახ. 14. საექსპორტო (ციტრუსების) პროდუქციის ინტერმოდალური გადაზიდვების მიწოდების ჯაჭვის მონაწილეთა ურთიერთქმედების სქემა



ნახ. 14-ის გაგრძელება. საექსპორტო (ციტრუსების) პროდუქციის ინტერმოდალური გადაზიდვების მიწოდების ჯაჭვის მონაწილეთა ურთიერთქმედების სქემა.

„ინკოტერმს – 2010“ წესების [14] შესაბამისად გათვალისწინებულია მიწოდებათა ოთხი ჯგუფი (E, F, C, D). ყველაზე ღრმას წარმოადგენს პირობები DAT და DAP, რომლის დროსაც საქონლის მიზიდვა წარმოების ადგილიდან ხორციელდება მომხმარებლის საწარმოს საწყობამდე (მიწოდება ტერმინალზე – ტერმინი DAT, მიწოდება პუნქტში – ტერმინი DAP). ინტერმოდალური გადაზიდვების პროექტების ეფექტურობას, მაგრამ დანიშნულების პორტში საქონლის გადმოტვირთვის მომენტიდან (მიწოდების პირობა CIF) საბოლოო მომხმარებლის გამანაწილებელ ცენტრამდე (მიწოდების პირობა DAT) და საბოლოო მომხმარებლის საწარმოს საწყობამდე (მიწოდების პირობა DAP) მოქმედებაშია საზღვარგარეთის სახელმწიფოს სატრანსპორტო ინფრასტრუქტურა,

სარკინიგზო და საავტომობილო ტრანსპორტის მოძრავი შემადგენლობა.

ნაშრომში განიხილება მომხმარებლებისათვის მიწოდება DAP პირობებში. სარკინიგზო ტრანსპორტით ტვირთის მიზიდვა წარმოებს აგრარული ლოგისტიკის ცენტრიდან გამგზავნ პორტამდე (მარშრუტი „k“) (თუ $l \geq 250$ კმ) და დანიშნულების პორტიდან გამანაწილებელ ცენტრამდე (მარშრუტი „l-d“).

საექსპორტო პროდუქციის შერეული გადაზიდვის ორგანიზაციის პროცესი შედგება შემდეგი ურთიერთდაკავშირებული ამოცანებისაგან:

1. საჭირო ინფრასტრუქტურისა და მოხმარებული სატრანსპორტო საშუალებათა პარამეტრების გაანგარიშება მიზიდვის ყველა ეტაპზე.

2. მიზიდვის ეფექტურობის განსაზღვრა შერეული გადაზიდვების თითოეულ ეტაპზე დანახარჯების გათვალისწინებით. ამ პრობლემის გადაწყვეტისათვის ერთობლივად გამოიყენება საკონტეინერო ტერმინალების კონსოლიდაციის საწყობებისა და კონტეინერების გადატვირთვის ტერმინალების გაანგარიშების მეთოდები, რომლებიც მოყვანილია ნაშრომში [88].

საქართველოს საგარეო-ეკონომიკური ურთიერთობების სუბიექტების (კომპანიები, რომლებიც აწარმოებენ საქონლის ექსპორტს ევროკავშირის რეგიონულ ბაზრებზე (ბალტიისპირეთის რესპუბლიკები, უკრაინა, პოლონეთი და ა.შ.). ინკოტერმის 2010-ის წესების გამოყენებით დამუშავებულ იქნა საქართველოს აგრარული ლოგისტიკის ცენტრების საექსპორტო პროდუქციის ინტერმოდალური გადაზიდვების ტექნოლოგიური პროცესისა და საექსპორტო ფასის ფორმირების სქემა და მიწოდების საბაზისო პირობების გამოყოფა.

ტექნოლოგიური სქემის და მუშავების დროს საერთაშორისო სამართლებრივი დოკუმენტების სახით ვითვალისწინებთ ექსპორტულ-იმპორტულ მიზიდვებში ტვირთების საერთაშორისო გადაზიდვების მარეგულირებელი (საკანონმდებლო) აქტებისა და საერთაშორისო კონვენციებს საქართველოს სავაჭრო-სამრეწველო პალატის მიერ მოწოდებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით. ეს სამართლებრივი დოკუმენტები მოყვანილია [20, 19, 23] დოკუმენტებში.

ოპერატორები სხვადასხვა სახის ტრანსპორტზე გადამზიდავებთან თავისთავზე იღებენ პასუხისმგებლობას ტვირთის დაკარგვის ან დაზიანების, აგრეთვე მიზიდვის

დროში ტვირთების შეყოვნების გამო. ინტერმოდალური გადაზიდვების სამართლებრივი რეგულირება ხორციელდება საერთაშორისო მულტიმოდალური გადაზიდვების შესახებ გაეროს, ჟენევის 1980 წლის კონვენციის შესაბამისად. ის რეგულირებას უკეთებს ინტერმოდალურ გადაზიდვებს ერთიანი გამჭოლი სატრანსპორტო დოკუმენტით – FIATA - ს მულტიმოდალური სატრანსპორტო კონოსამენტით. ეს კონოსამენტი წარმოადგენს FIATA-სა და საერთაშორისო სავაჭრო-სამრეწველო პალატის ერთობლივ დოკუმენტს [108].

საერთაშორისო ბაზრებზე პროდუქციის ეფექტური ინტერმოდალური გადაზიდვების ერთ-ერთი ძირითადი პირობაა საერთაშორისო ინტერმოდალური სატრანსპორტო ერთეულის გამოყენება TEU-1 სახით.

საზღვაო ტერმინალების მემვეობით საერთაშორისო კონტეინერული გადაზიდვების მსოფლიო პრაქტიკა გვიჩვენებს, რომ საზღვაო პორტებში მიმდინარეობს წვრილ გზავნილებათა 70 პროცენტის კონსოლიდაცია პაკეტებში სტანდარტულ საძირეზე ზომებით 800X1200 მმ მათი შემდგომი ჩატვირთვით კონტეინერებში, ე.ი. მეორე კონსოლიდაცია.

ჩვენს მიერ დამუშავებული ინტერმოდალური გადაზიდვების ტექნოლოგიური სქემა აგებულია მიწოდების საერთაშორისო სტანდარტული პირობების „ინკოტერმს-2010“-ის შესაბამისად (ადგილი, ვადა, მიწოდების ხერხი, ადგილი).

ტვირთების ტრანსპორტირების პროცესში ლოგისტიკურ პარტნიორებთან სახელშეკრულებო ურთიერთობები ფორმდება მრავალრიცხოვანი დოკუმენტებით, რომლებიც განსხვავდებიან ტრანსპორტის სახის, გადაზიდვის ხერხის და სხვა ფაქტორებისაგან დამოკიდებულებით. განსაკუთრებით დიდია იმ დოკუმენტების რაოდენობა, რომლებიც ასე თუ ისე დაკავშირებულია ტრანსპორტირებასთან და ფორმდება ექსპორტულ-იმპორტულ სავაჭრო გარიგებების დროს.

ინტერმოდალური გადაზიდვების ტექნოლოგიური სქემა აერთიანებს ლოგისტიკის მიწოდების ჯაჭვების რგოლებს, ლოგისტიკურ ცენტრს – $j \in n$, საზღვაო-საკონტეინერო ტერმინალს $k \in K$ (კონსოლიდაციის საწყობი), დანიშნულების პორტი ($l \in L$). დანიშნულების ტერმინალი ($d \in D$), დანიშნულების პუნქტი ($j^* \in n^*$). სხვადასხვა სახის ტრანსპორტირების უბნებს: 1. „n – K“ მარშრუტზე სარკინიგზო გადაზიდვები,

$\mu_1 \in \xi_1$; 2. საზღვაო (საბორნე) გადაზიდვები „ $k - l$ “ ხაზზე, $s \in S$; 3. პაკეტური სარკინიგზო გადაზიდვები „ $l - d$ “ სარკინიგზო ტრანსპორტით $\mu_1 \in \xi_1$ დანიშნულების პორტიდან დანიშნულების ტერმინალამდე; 4. საავტომობილო პაკეტური გადაზიდვები დანიშნულების ტერმინალიდან ($d \in D$) დანიშნულების პუნქტამდე $j^* \in n^*$ საავტომობილო ტრანსპორტით.

2.1.8. რეგიონული აგრარული ლოგისტიკის ცენტრი, როგორც

საერთაშორისო ბაზარზე ციტრუსების საექსპორტო

მიწოდებათა სისტემის ცენტრალური რგოლი

ციტრუსების დამუშავებისა და გლობალური მატერიალური ნაკადების განაწილების ლოგისტიკის (ინტერმოდალური) სისტემა მიეკუთვნება მაკროლოგისტიკის კატეგორიას მოქმედების განხორციელების მასშტაბების და შესრულებული ოპერაციების სირთულით.

ექსპორტში ციტრუსების მიწოდების სისტემებს მიეკუთვნება საერთაშორისო (სახელმწიფოთაშორისი) ლოგისტიკის სისტემები, რომლებიც მოიცავენ რამოდენიმე ქვეყანას და შექმნილია ტვირთების ინტერმოდალური გადაზიდვების მომსახურებისათვის სატრანსპორტო დერეფნების გასწვრივ.

ციტრუსების გამსხვილებული სატრანსპორტო ერთეულების გადაცემა წარმოებს მათი მრავალჯერადი გადაცემით ერთი სახის ტრანსპორტიდან მეორეზე. ეს ოპერაციები წარმოებს ორი ან მეტი სახის ტრანსპორტის შეპირაპირების პუნქტში, სატრანსპორტო კვანძში ურთიერთდაკავშირებული ტექნოლოგიური და მართვის ერთობლივი ორგანიზაციული ფორმების საფუძველზე.

